ჯილდო გვიხმობს: წინ, რესპუბლიკის სიჭაბუკენ!

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი
სამშაბათი
23 ოქტომბერი
№ 244 (17589)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს კომკავშირს

რეზო ამაღუკელი

რაიც გაკეთდა,
დღეს რაც არის,
ხვალ რაც იქნება,
ახალ ქარხნებად,
სარეულებად,
ზვრებად, წიგნებად,
ყველა სიმაღლე, ყველა ზღვარი,
ყველა მიგნება,
მე მჯერა, მჯერა —
— შენი ხელით ჩამოიქნება!..

შენ შენი მრწამსით
კვალში მისდევ ცხოვრების
გრიგალს,
მამულის დროშა განწმენდილი
ამაყად მიგაქვს!
მთლად საქართველო
ამ დღეებში აიღებს ჭიქას
და დაგილოცავს
თავდადებას,
კაცობას,
ჯიგარს!

მეც შენად ვფიქრობ, —
უსწორდება ისარს ისარი:
— ვაი, რომ ახლა
უფრო მეტი ვერ მოგისწარი,
გაგიმეორო ისევ მინდა
(იცნობ, ის არი)
ჩემი სიმღერა ადრინდელი,
და საფიცარი: —

ახალგაზრდობა შემობრუნდა
ბუმერანგივით,
ისევ მეძახის თეთრ ტაძარში
შენი ყრილობა!
მინდა ბავშვივით გადავიხსნა
გულზე პერანგი
და დაგანახო
სიყვარულის ცხელი ჭრილობა!

მე შენი ძუძუს ხსენი ისევ
ძარღვში დამიდის,
ვარ კალატოზი
შენი ძეგლის და პირამიდის,
მე სული ჩემი
გადავხურე შენი კრამიტით,
ავივსე შენი ატმის კვირტით,
შენი ამინდით!

შენი სიმაღლით,
შენი რწმენით,
შენი წარსულით,
ცისკენ წასულით,
მარადიულ თეთრი ასულით,
შენი წვალებით,
გამარჯვებით ფანტასტიურით
შენი ბორისით,
კოშევოით,
შენი იურით!

ვიგონებ დღეებს
ცისფერ სხივში გადარხეულებს,
— იყავი მუდამ
აღმავალი სხივით მმოსავი
მე შენი სიბრძნე
მინათებდა ფერმკრთალ
რვეულებს,
შენ იყავ ჩემი ჭაშნაგირიც,
გზის დამლოცავიც!

თმა შეივერცხლა,
გული დაცხრა,
ალბათ დროც არის,
ვერ დაგანიე სიყვარულის
სიტყვა ფრთოსანი,
მაგრამ ის ცეცხლი ალტაცების
განა შორს არი
— გულზე ბრდღვიალა მზე
ფათქუნებს
მიმინოსავით!

22/X-79 წ.

...ახალგაზრდობის კავშირის ამოცანაა ისე მოაწყოს თავისი პრაქტიკული საქმიანობა, რომ ამ ახალგაზრდობამ ისწავლოს, დაირაზმოს, შეკავშირდეს, იბრძოლოს და ამ გზით აღზარდოს თავისი თავი და ყველა ის, ვინც მასში წინამძღოლს ხედავს, აღზარდოს კომუნისტები... კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი უნდა იყოს დამკვრელური ჯგუფი, რომელიც ყოველ მუშაობაში გვიწევს დახმარებას, ყველაფერში იჩენს თავის ინიციატივას, თაოსნობას.

ვ. ი. ლენინი

გულით აღვიქვით, საქმით ვუპასუხებთ! მხატვარი დ. ბაშელეიშვილი.

ეს დაფასება გვავალებს



ჩვენს რესპუბლიკას დიდი სიხარული ეწვია — საქართველოს კომკავშირი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

კარგად უნდა გაიაზრო ეს მოვლენა, ახალგაზრდავ, სულერთია, სახარატო დაზგასთან დგახარ თუ ხიდებს აშენებ, ცხვარს მწყემსავ, თუ მხატვრის სახელოსნოში ფუსფუსებ, საბჭოთა არმიაში მსახურობ თუ სასწავლო მერხს უზიხარ... მთავრობის მაღალი ჯილდო იმ ნაღვან-ნაშრომის შესანიშნავი დასტურია, რასაც შენი რესპუბლიკის კომკავშირი შენი და შენივე თანატოლების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის ეწევა.

დიახ, კიდევ ერთი, მაგრამ მეტად ბრწყინვალე ფურცელი შეემატა საქართველოს კომკავშირის მდიდარსა და სახელოვან ისტორიას. ეს ფურცელი კი ერთბაშად როდი დაინერა, მისი ავტორია ყველა თაობის კომკავშირელი, რომელთა ღვაწლი, როგორც ნაკადულები, ისე შეუერთდა სასახელო კომკავშირული საქმეების დიდ მდინარეს.

გილოცავთ, ჩვენო ჭაბუკებო და ქალიშვილებო, ამ მაღალ ჯილდოს!

გილოცავთ ყველა თაობის კომკავშირელებო, თქვენი შრომის, თქვენი ნაამაგარის დიდ აღიარებას!

გილოცავთ, რესპუბლიკის ყველა მშრომელო ადამიანო, ამ ჯილდოს, რადგან ხალხისა და კომკავშირის საქმეები ვინ გაყო! ესოდენ მაღალი დაფასება კიდევ უფრო აძლიერებს იმ რწმენას, რომ ახალგაზრდობა ჩვენი დიდი იმედია, და ამასთან საუკეთესო მომავალიც.

აი რატომ არის, რომ კრემლიდან მიღებულმა ცნობამ გულნრფელად გაახარა დიდიც და პატარაც, კეთილად ააღელვა და აღაფრთოვანა ყოველი ჩვენგანი.

მოდით, დღეს კიდევ ერთხელ გონების თვალი გადავავლოთ ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირის — სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ამ ერთ-ერთი მოწინავე და მებრძოლი რაზმის ისტორიას, მის გზას.

საქართველოს კომკავშირი დიდი რევოლუციის ქარიშხალში იშვა. მისი ბიოგრაფია სწორედ რევოლუციური ენთუზიაზმის, გმირობისა და მამაცობის, თავდადებული შრომისა და შემოქმედების ძვირფასი მატიანეა. შეუპოვარი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციისათვის, პირველი ხუთწლედები. დიდ სამამულო ომში მოპოვებული გამარჯვება ომით განადგურებული ეკონომიკის აღორძინება, ყამირის ათვისება, დამკვრელური კომკავშირული მშენებლობანი, პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, მეტი ჩაისათვის, ყურძნისათვის ზრუნვა... და ვინ მოთვლის კიდევ იმ საქეეყნო საქმეებს, რაშიც საქართველოს კომკავშირელებმა მთელი თავიანთი ახალგაზრდული გულის მხურვალება ჩააქსოვეს, ხოლო სადაც საჭირო იყო, იქ სიცოცხლეც არ დაიშურეს.

განსაკუთრებული დიდება მათ, ვინც მართლაც ხვავრიელად და ალალად გარჯილა!

70-იანი წლების ახალგაზრდობის მიზანი, მისი აღმაფრენა — ეს ხომ წინა თაობათა მემკვიდრეობაა. ლოზუნგებიც იგივეა: „სწორება კომუნისტებზე!“ „წინ, ცეცხლის ხაზზე!“ ეს ხაზი კი მარტო გრანდიოზული მშენებლობანი როდია. იგი თითოეულ საამქროში, თითოეულ საკოლმეურნეო რგოლში, თითოეულ სამეცნიერო თუ შემოქმედებით დანესებულებაში გადის, ყველგან და ყველა უბანზე.

ლენინის ორდენი, რომელიც საქართველოს კომკავშირის დროშას დაამშვენებს, იმ მამაშვილური ყურადღებისა და მზრუნველობის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია, რასაც მშობლიური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი, პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი საბჭოთა ახალგაზრდობისადმი, ჩვენი რესპუბლიკისადმი, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისადმი იჩენენ.

დიდი ჯილდო უტყუარი გამოხატულებაა იმისა, თუ რაოდენ დაუღალავ და მრავალმხრივ საქმიანობას ეწევიან რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, მეათე ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად, თითოეულ ქალაქსა და სოფელში, თითოეულ შრომითს კოლექტივში მორალური და ფსიქოლოგიური ატმოსფეროს გასაჯანსაღებლად კომკავშირული ორგანიზაციების უფრო ფართო და შემოქმედებითი მონაწილეობისათვის.

ჩვენი დრო, ჭეშმარიტად რევოლუციური გაქანებისა და შემოქმედების დრო, ახალ ამოცანებს სახავს ახალგაზრდობის აღზრდის დიდსა და კეთილშობილურ საქმეშიც. ეს ამოცანები მკაფიოდ და ნათლად არის განსაზღვრული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. აღზრდის უპირველესი მტერი ფორმალიზმია. ყოველდღიური და შემტევი ბრძოლა მის წინააღმდეგ — აი, ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კომკავშირმა მიზნად დაისახა.

სწორედ ყოველგვარი ფორმალიზმის აღკვეთა, მეტი შემოქმედებისა და საქმიანობის შეტანა მთელს აღმზრდელობითს მუშაობაში — აი დავალება, რომელიც რესპუბლიკის კომკავშირს ეძლევა დიდი შეფასების საპასუხოდ.

საქართველოს ჭაბუკები და ქალიშვილები, რომლებიც მხარს უსწორებენ კომუნისტებს, კვლავაც იქნებიან იქ, სადაც სიძნელეებია, სადაც საჭიროა კომკავშირული გულის მხურვალება და ულევი ენთუზიაზმი.

სურათებზე: საქართველოში პირველი ახალგაზრდული ორგანიზაციის, „სპარტაკის“ დამაარსებელთა ერთი ჯგუფი. მარჯვნიდან მეორე — ბორის ძნელაძე; 1928 წელს თელავში ჩატარებული სამდღიანი ღონისძიების — თელავის მაზრის მოწაფეთა თვითმმართველობის პირველი კონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი; თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის კომკავშირელთა მიერ ზეგეგმით გამოშვებული ხუთწლედის მესამე წლის სახელობის ორთქლმავალი; კონსტანტინე ლესელიძის კომკავშირული ბილეთი; სამოცდაათიანი წლების კომკავშირელთა შრომითი ეპოპეა — ბამი.

დიდი ცხოვრების ფურცლები

რეპორტაჟი საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმიდან

1. სათავე

თავიდან ცოტანი იყვნენ — სულ ორასიოდე ახალგაზრდა, უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებული, ერთ მუშტად შეკრული, საკუთარი იდეალების ერთგული, ერთი აზრით მოცული სპარტაკელები. პოლიტიკური სიმწიფე, მიზნის სიცხადე და ურყევი რწმენა მერე მოვიდა.

მაშინვე ნათელი იყო: გზა, რომლის დასაწყისში რესპუბლიკის ახალგაზრდობის დიდი არმია იდგა, სწორი, ნათელი, მაგრამ ამასთან უაღრესად რთული იყო. ჩვენი პარტიის უმცროსმა თანამებრძოლმა — საქართველოს კომკავშირმა ეს გზა სახელოვნად განვლო.

მარადისობაში 61 წელი წერტილად მოჩანს. ისტორიისთვისაც მცირე მონაკვეთია. მაგრამ ჩვენ მივიჩვიეთ ვზომოთ ეს მონაკვეთი არა წელთა სიმრავლით, არამედ მათში მოქცეულ საქმეთა სიდიადით.

ფაქტები კი თავისთავად ღაღადებს.

საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმში კიდევ ერთხელ ცოცხლდება თვალწინ გამოვლილი გზა „სპარტაკიდან“ — პირველი არალეგალური კომკავშირული ორგანიზაციიდან — 70-იანი წლების კომკავშირელებამდე, 200 კაციდან 750 ათას ქალიშვილსა და ჭაბუკამდე.

საქართველოს კომკავშირის პირველ ლეგალურ ყრილობას სამი არალეგალური შეკრება უსწრებდა წინ. მუზეუმში დაცულია ამ თავყრილობების ამსახველი ფოტომასალა. პირველ სპარტაკელთა მანდატებიც, მათი ბეჭდვითი ორგანოც (საიდანაც დასაბამს იღებს საქართველოში ახალგაზრდული საბჭოთა პრესა) აქვეა, დამბაჩებთან, რევოლვერებთან, არალეგალური სტამბის შრიფტებთან და სხვა ნივთებთან ერთად, რითაც კომკავშირელები შინაურ თუ გარეშე მტრებს ებრძოდნენ. აქ არის რესპუბლიკაში კომკავშირის დამფარსებლის ბორის ძნელაძის პირადი ნივთები.

ეს მხოლოდ დასაწყისი იყო დიდი ცხოვრების გზისა, ცხოვრებისა, სადაც შემდგომ ბევრი საინტერესო და სასახელო ფურცელი ჩაიწერა.

ახალგაზრდობა — იმედი ხვალის. ს. კილაძის ფოტო.

გვილოცავენ მეგობრები

რესპუბლიკის კომკავშირის ლენინის ორდენით დაჯილდოებას გვილოცავენ მეგობრები ჩვენი უკიდეგანო სამშობლოს ყველა კუთხიდან.

საქინფორმი მკითხველს სთავაზობს ზოგიერთ მათგანს.

●●

სულით, გულით

არწრუნ აკოფიანი, კომბინატ „არტიკტუფის“ ქვის საჭრელი აგრეგატის მემანქანე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი.

მე წილად მხვდა დიდი პატივი მივულოცო სომხეთის კომკავშირელთა მრავალათასიანი არმიის სახელით ჩვენს ძვირფას თანატოლებს სამშობლოს მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი, რომელიც მოძმე რესპუბლიკის კომკავშირის ორგანიზაციას მიენიჭა.

საქართველოს კომკავშირელებისათვის ამ სასიხარულო დღეს მინდა გავიზიაროთ ჩვენი საქმეები: მე ქვის საჭრელი აგრეგატის მემანქანედ ვმუშაობ სომხეთის პატარა ქალაქ არტიკში, რომელიც თავისი ვარდისფერი ტუფით არის ცნობილი. ვამაყობთ, რომ ჩვენი გარჯის ნაყოფი საბჭოთა კავშირის მრავალ კუთხეში იგზავნება. ალბათ, მოძმე რესპუბლიკის ახალგაზრდა მშენებლები ხშირად იყენებენ ჩემი მანქანით მოპოვებულ ტუფსაც.

ვამაყობთ თქვენით!

ტარლაძ მუსაევა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინური კომკავშირის და აზერბაიჯანის კომკავშირის პრემიების ლაურეატი.

აზერბაიჯანელი ახალგაზრდობა დიდად გაახარა იმ ამბავმა, რომ თქვენი რესპუბლიკის სახელოვანი კომკავშირი — ქართველი ახალგაზრდობის მეგობრული რაზმი, პარტიის ერთგული თანაშემწე, ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

ჩვენ კარგად ვიცით, თუ რაოდენ დიდი წვლილი შეაქვს საქართველოს ახალგაზრდობას ხუთწლედების შესრულებაში. ავითარებენ რა ტრადიციულ სოციალისტურ შეჯიბრებას ჩვენს რესპუბლიკებს შორის, დიდ გამარჯვებებს აღწევენ საქართველოს სოფლის ახალგაზრდა მშრომელები. სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობაზე დელეგატად ყოფნისას ღრმად ჩამწვდა გულში და მენიშნა ძვირფასი ლენინდილიას ძე ბრეჟნევის სიტყვები, რომ დღეს ჩვენი სოფლის მეურნეობა წარმოუდგენელია უმანქანოდ. და თავს ბედნიერად ვრაცხ, რომ სოფლის მექანიზატორთა სახელოვან არმიაში ვიღვწი.

ამ სადღესასწაულო და საზეიმო დღეს ვუსურვებ მოძმე საქართველოს სახელოვან კომკავშირს ახალი დიდი წარმატებანი მოეპოვებინოს საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის, ახალგაზრდობის აღზრდის მიზნით ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1979 წლის 22 ოქტომბერი.

ცნობა

22 ოქტომბრისათვის

გეგმის შესრულებას 24.984 ტონა აკლია

ყურძენი — მარნებში!

21 ოქტომბერს მოკრიფეს 5.027 ტონა — 20 ოქტომბერთან შედარებით 3.269 ტონით ნაკლები.

სულ დამზადებულია 550.016 ტონა. გეგმა შესრულებულია 96,6 პროცენტით.

გეგმა შესრულეს სილნაღის, თელავის, ახმეტის, საბარეჯოს, ლაგოდეხის, მარნეულის, გოლნისის, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ცხინვალის, მაიაკოვსკის რაიონებმა, რომელთა რიცხეს შეემატა უვარლის რაიონი, სადაც დამზადებულია 52.685 ტონა ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 52.500 ტონის ნაცვლად, ორჯონიკიძის რაიონი, სადაც დამზადებულია 5.825 ტონა გეგმით გათვალისწინებული 5.700 ტონისა ნაცვლად და ახალციხის რაიონი.

კვლავ ჩამორჩენიან დუშეთის, ხაშურის, წალენჯიხის, ონის, ცაგერის რაიონები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ასპინძის რაიონებმა შეასრულეს გეგმა. დამზადებულია 378.164 ტონა გეგმით გათვალისწინებული 370.400 ტონის ნაცვლად.

ქართლის რაიონებში დამზადებულია 61.441 ტონა გეგმით გათვალისწინებული 78.590 ტონის ნაცვლად, დღიურმა კრეფამ 805 ტონა შეადგინა.

დასავლეთ საქართველოს რაიონებში დამზადებულია 110.411 ტონა, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებულია 126.010 ტონა. დღიურმა კრეფამ 1.422 ტონა შეადგინა.

„მოლნია-1“

საკავშირო ცნობა

1979 წლის 20 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი კავშირის თანამგზავრი „მოლნია-1“. კავშირის თანამგზავრი „მოლნია-1“ უზრუნველყოფს შორი სატელეფონ-სატელეგრაფო რადიოკავშირის სისტემის ექსპლოატაციას, აგრეთვე სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამების გადაცემებს „ორბიტის“ ქსელის პუნქტებში, რომლებიც უკიდურესი ჩრდილოეთის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთისა და შუა აზიის რაიონებშია განლაგებული.

თანამგზავრი გაყვანილია მაღალეფექტურ ორბიტაზე, რომლის აპოგეა 40.640 კილომეტრი ჩრდილოეთის ნახევარსფეროში და პერიგეა — 640 კილომეტრი სამხრეთის ნახევარსფეროში. თანამგზავრის გარშემოვლის პერიოდია 12 საათი და 16 წუთი, ორბიტის დახრილობა — 62,8 გრადუსი.

მიღებული მონაცემებით თანამგზავრში დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს, „მოლნია-1“ თანამგზავრის მეშვეობით კავშირის სეანსები მოეწყობა დასახული პროგრამის შესაბამისად.

გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის საიმედო თანაშემწესა და მებრძოლ რეზერვს, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საშვიდნოემბრო მოხსენებებიდან

ჩვენი კოლაბორაციები!

თაოგათა შეხმიანება

დროთა შთამაგონებელი კავშირი

უდიდესი სიხარულისა და სიამაყის გრძნობა ავსებს გულს ამ შესანიშნავ დღეს. ლენინის ორდენი საქართველოს კომკავშირის დროშაზე — ეს არის რესპუბლიკის ყველა კომკავშირული თაობის დიდი და სახელოვანი საქმეების აღიარება, რომლებიც ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ბიოგრაფიაში. ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური და კომუნისტური შენებლობის ყველა ეტაპზე საქართველოს კომკავშირი სრულიად საკავშირო ალკკ ერთ-ერთი მებრძოლი რაზმი, პარტიის სანდო რეზერვი და თანაშემწე იყო.

ჩვენ, ვეტერანებს, წილად გვხვდა შორეულ 20-იან წლებში ვმდგარიყავით საქართველოს კომკავშირის დაბადებისა და დამკვიდრების სათავეებთან. და დღეს, გამოვლილი წლების სიმაღლიდან, ჩვენ განსაკუთრებით მკაფიოდ ვხედავთ დროთა შთამაგონებელ კავშირს. სამოცდაათიანი წლების კომკავშირელებმა შეისისხლხორცეს ძველი თაობების კომკავშირელთა საუკეთესო თვისებები. შრომაში, ბრძოლაში, აღმშენებლობაში იწრთობოდა, მტკიცდებოდა ჩვენი ახალგაზრდობის ხასიათი, ყალიბდებოდა პატრიოტების, ინტერნაციონალისტების საუკეთესო თვისებები. მას დღესაც მაღლა უჭირავს გამარჯვების დროშა, დღესაც აგრძელებს მამა-პაპათა ესტაფეტას, გმირობის ესტაფეტას.

პირველი ქართველი კომკავშირელების სახელით გულითადად მივესალმები და ვულოცავ რესპუბლიკის კომკავშირელ ახალგაზრდობას სამშობლოს მაღალ ჯილდოს. ასე განაგრძე, კომკავშირო, ახალ გამარჯვებებს გისურვებ!

ვიქტორ კუპრაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, კომკავშირის წევრი 1922 წლიდან.

ვეტერანთა სახელით

სიმაგაუკე და კომკავშირი განუყოფელი ცნებებია. ყველა ლამაზი მოგონება გარდასულზე სწორედ ამ სახელებთან არის დაკავშირებული. სილამაზესთან ერთად ბევრი ტკივილიც არის ამ მოგონებაში — დაკარგულ თანატოლთა, თანამებრძოლთა სახელები დღესაც ცოცხლობს ჩვენ გულში. ან სხვაგვარად როგორ შეიძლება!

როგორც იტყვიან, პირველი წლების სიმძიმე ჩვენს მხრებზე გადავიტანეთ. იყო სიძნელეც, ბრძოლაც, შიმშილიც, შრომის ცეცხლიც, მაგრამ ამასთან იყო გამარჯვებაც მუდამ და ეს იყო ყველაზე მთავარი.

დღეს ჩვენს ქვეყანას დიდებული ახალგაზრდობა ჰყავს, ამაში უკიდურესი სკეპტიკოსებიც დარწმუნდნენ. ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა უმაღლესმა ჯილდომ. ეს ორმაგად სასიხარულოა — ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი საიმედო ხელშია. ამასთან დიდ სიხარულს, თქვენ რომ დაგეუფლათ, ჩვენც ვიზიარებთ — ვეტერანები, ისინი, დიდ წარმატებათა ძირში პირველი აგურები რომ ჩაიწყო! ამასთან გილოცავთ, ქართველ ვეტერან კომკავშირელთა სახელით მოგესალმებით თქვენ, 70-იანი წლების ახალგაზრდობავ, ჩვენო საამაყო ქალიშვილებო და ჭაბუკებო, გისურვებთ თქვენი რიგების კიდევ უფრო შემჭიდროებას, აგრეთვე იმას, რომ თქვენც, წლების მერე, თქვენი მომდევნო თაობებისათვის უფრო და უფრო დიდი წარმატებები მიგელოცოთ!

მიხეილ ყვარელაშვილი,
თბილისის ალკკ საქალაქო კომიტეტთან არსებული ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

ულრუბლო ზეცა გფარავდეთ!

მართლაც რომ, ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ის უდიდესი წვლილი, რომელიც, საერთოდ, ჩვენი დიადი სამშობლოს და, კერძოდ, საქართველოს ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა, კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა შეტანეს დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დაცვისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში.

ჭეშმარიტად საამაყოა საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის მიერ ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში ამ ბოლო წლების მანძილზე მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებები, რისთვისაც იგი შარშან და შარშანწინ ზედიზედ ორჯერ დაჯილდოვდა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. ძალზე დიდია ჩვენი ქალიშვილებისა და ჭაბუკების, რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის დამსახურება საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ბოლოდროინდელ თვალსაჩინო წარმატებებშიც.

სულ მუდამ ასეთი სასახელო მიღწევები და გამარჯვებები ყოფილიყოს თქვენი თანამგზავრი, ჩვენო სახელოვანო ქალიშვილებო და ჭაბუკებო და, რაც მთავარია, როგორც 30-იანი წლების კომკავშირელი და დიდი სამამულო ომის მონაწილე, გისურვებთ ომის საშინელებას ჯანაღდეს დაერღვიოს თქვენი აღმშენებლობითი შრომა, დაე მუდამ ულრუბლო ზეცა გფარავდეთ!

გაიოზ რუსიშვილი,
თბილისის № 5 საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი.

იატაკქვეშეთიდან დღევანდლამდე

საქართველოს კომკავშირი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა. ამ ამბავმა ყველა გაახარა — დიდი თუ პატარა, უპირველესად ჩვენი ახალგაზრდობა. დიდად დაფასდა ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირის ღვაწლი, შრომა და ბრძოლა!

იატაკქვეშეთიდან დღევანდლამდე საქართველოს კომკავშირმა სახელოვანი გზა განვლო. ჩვენს ახალგაზრდობას პარტიის ხელმძღვანელობით კომკავშირი რაზმავდა სწავლაში, შრომასა და ბრძოლაში. მან ხომ ახალგაზრდათა მრავალი თაობა აღზარდა, განამტკიცა, გამოაწრთო, ასწავლა ახლის შენება, მამულის მტრებთან ბრძოლა. ჩვენი სამამულო ისტორიის ფურცლები ამაზე ნათლად მეტყველებს.

საქართველოს კომკავშირი იყო და არის ახალგაზრდა მეწარალთა სამეკედლო, რამდენი სახელოვანი სიტყვის ოსტატი აღუზარდა მან სამშობლოს, რამდენი შთაგონებული შემოქმედი! ბევრი მათგანის სახელი, წიგნი საქმეყნოდ არის ცნობილი. დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველ მწერალთა უმრავლესობას კომკავშირის სკოლა აქვს გავლილი, სკოლა მამულის ნამდვილი ერთგულებისა. დღესაც მოდიან იმედის მომცემი კომკავშირელები, ნიჭიერი ახალგაზრდები მწერლობაში, ახლის მშენებელ ადამიანთა ფიქრების და ოცნებების ახალბედა მესიტყვეები.

მეც კომკავშირში აღვზარდე, დიდხანს ვმოღვაწეობდი კომკავშირულ პრესაში. მწერალთა კავშირის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანიც ვიყავი, ფრონტზე მომიწია კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. ასე რომ, ბუნებრივია ჩემი სიხარული, რომელსაც ვუერთებ საქართველოს ახალგაზრდობის ამ დიდ ზეიმს!

ამიერიდან საქართველოს კომკავშირის დროშაზე ლენინის ორდენი იკიაფებს.

სულითა და გულით ვულოცავ ამ მაღალ ჯილდოს ჩვენს სიჭაბუკეს!

რევაზ მარგიანი,
პოეტი.

ხვალ მათ მიბაძავენ!

ისევ მრავალეროვან სახელმწიფოში, როგორიც ჩვენი დიადი ქვეყანაა, რა თქმა უნდა, ახალგაზრდობის ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. განსაკუთრებით მახვილდება ამ საკითხზე ყურადღება ისეთ დასახლებულ პუნქტებში, სადაც მხარდამხარ ბევრი ეროვნების ხალხი შრომობს, რადგანაც აქ, როგორც წვეთ წყალში, უნდა ჩანდეს ერთა საერთო ცხოვრების და თანამეგობრობის ჩვენი, საბჭოური წესი.

ჩვენს რესპუბლიკაში ასეთი ქალაქი რუსთავია. მის სამრეწველო საწარმოებში მრავალი ეროვნების ადამიანი შრომობს ერთმანეთის გვერდით. აქ სხვებს მიემატნენ და მრავალეროვან ოჯახში სითბო და მეგობრული, ძმური მხარდაჭერა პოვეს ვიეტნამელმა ახალგაზრდებმა, რომლებიც სხვადასხვა სპეციალობას ეუფლებიან. ის, თუ როგორ იქნებიან ერთმანეთის მიმართ განწყობილი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე კომკავშირელები, ბევრად არის დამოკიდებული ჩვენზე, უფროს თაობაზე.

თავის დროზე მე ბევრი ვისწავლე მათგან, ვინც მამად მერგებოდა და ქარხანაში მოსული მართლა შვილივით მიმიღეს: არსებობს ერთი ენა — ქვეყნად ხალხთა შორის ჭეშმარიტი მეგობრობის ენა. ვისწავლე ისიც, რომ სხვისი ეროსადმი პატივისცემა სწორედ საკუთარი ეროსადმი უსაზღვრო სიყვარულით იწყება, რადგან ის, ვისაც თავისი ხალხი არ უყვარს, სხვას ვერ შეიყვარებს. ასე ცხოვრობს, ასე შრომობს ჩემი თაობა აი უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია.

ახლა ჩვენ იგივეს ვასწავლით იმათ, ვისაც უკვე ჩვენ ვერგებით მამებად. თუ არა ადამიანის სიყვარული, სიძნელის დროს თანადგომა, ერთმანეთის გატანა, განგვექნებოდა ასეთი წარმატება: წელს 8 თვეში ჩვენმა ქარხანამ 100,7 პროცენტით შეასრულა მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა. სამშობლომ მიიღო 2.277 ტონა ზეგეგმითი ფოლადი, 9.390 ტონა კოქსი, 240 ტონა მილები, ასობით ტონა ნაგლინი, თუჯი და სხვ. ყველა წარმატებაში ჩანს კომკავშირელთა ენთუზიაზმის კვალი. ისინი დგანან იმათ გვერდით, ვინც კომკავშირმა აღზარდა და გამოიყვანა ცხოვრების გზაზე, სოციალისტური შრომის გმირების — ო. ლომიძის, ვ. კობერიძის, ა. ძამაშვილის, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ე. კურტანიძის, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატის ო. წითლიძის და სხვა სახელოვანი ადამიანების გვერდით. ხვალ მათგან გამოვლენ ლომიძეები, ძამაშვილები, ხვალ ისინი მისცემენ შრომის და საერთო ცხოვრების მაგალითს მომდევნო თაობას.

გიორგი გუბა,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს უფროსი მვალცავი.

ისევ მწყობრში

ჩვენ ყველას, დღევანდელ თუ გუშინდელ კომკავშირელებს ვგეამაყებდ, რომ საქართველოს კომკავშირმა მთავრობის უმაღლესი ჯილდო სწორედ ახალგაზრდა თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის დაიმსახურა.

მე თვითონ ლენინურმა კომკავშირმა აღმზარდა. სწორედ კომკავშირის რეკომენდაციით მმიღეს სკკპ წევრობის კანდიდატად. მაგრამ ერთი წუთითაც არ ვაპირებ კავშირი გავწყვიტო კომკავშირთან — ამიტომაც ვარ კომკავშირული პოლიტწრის პროპაგანდისტი. წრეში ოცამდე ახალგაზრდაა გაერთიანებული, გასულ სასწავლო წელს ისინი მეტად აქტიურობდნენ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შესწავლაში და თამამად ვიტყვი, რომ პროგრამა საფუძვლიანად იცეან. წელს მსმენელთა სურვილის მიხედვით გადავწყვიტეთ სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საფუძვლები შევისწავლოთ.

მისასალმებელი ის არის, რომ აღმზრდელობითი მუშაობის ნაყოფი ჩანს — იგი ვლინდება ყოველდღიურ ახალგაზრდულ საქმეებში, რომლებიც ჩვენს სოფელში კეთდება, საზოგადოებრივი ატმოსფერო ყველგან ჯანსაღდება. მაგრამ ამ მხრივ მუშაობის შენელებაც არ შეიძლება. დიდი შეფასება ამასთან მეტ მოვალეობას გვაკისრებს. ჩვენმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, ჩვენ ყველამ კიდევ უფრო მკაცრად უნდა შევუტიოთ ნეგატიურ მოვლენებს.

ეთერ ჩუბკო,
ახალციხის რაიონის სოფელ თისლის რვაწლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, პროპაგანდისტი.

კვლავაც...

სასიხარულო დღეებში, როდესაც ირგვლივ ყველა საერთო საპატიო ჯილდოს ზეიმობს, შენდაუნებურად კიდევ ერთხელ თვალს გადაავლებ საკუთარ ცხოვრებას, კიდევ ერთხელ გააანალიზებ, არის თუ არა შენი თუნდაც მცირეოდენი წვლილი ამ დიდ გამარჯვებაში. ეს ბუნებრივია — ჩემი, შენი, მისი — ჩვენი, ყველას თავდადებული შრომა რომ არა, იქნებ ეს საზეიმო წუთები არც კი დამდგარიყო.

დიდი საქმე მხოლოდ ერთად კეთდება, ერთმანეთის მხარდაჭერითა და დახმარებით. მახსოვს (ან რა დამავიწყებს) ჩემი მოსვლა ქარხანაში, პირველი გაუბედავი ნაბიჯები. საშინლად ძნელი მეგონა ყველაფერი, ადამიანთა თანადგომას კი ყოველნაირი სიძნელის გადალახვა შეეძლებია. ეს ყველაფერი უკან დარჩა. და თუ დღეს მტკიცედ ვდგავარ ფეხზე, თუ ვფლობ ჩემ პროფესიას, ვმუშაობ ისე, რომ პირნათელი ვიყო საკუთარი თავის, ჩემი მეგობრებისა და უფროსი კოლეგების წინაშე, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს დამრიგებელს, ლენინის ორდენოსან კომუნისტს ოთარ წიგნაძეს. ჩემი ტოლები, კომკავშირელები სწორედ ასეთ კომუნისტებზე სწორებისათვის იბრძვიან.

ყოველდღიურ დავალებებს 120-125 პროცენტით ვასრულებ, უკვე კარგა ხანია 1980 წლის ანგარიშში ვმუშაობ, მაგრამ ვგრძნობ, დღეიდან ვერც ამას დავჯერდები.

ზემოთ უკვე ვთქვი, როცა შრომა გიფასდება, როცა ჯილდოს გილოცავენ, ერთხელ კიდევ გადაზედავ ხოლმე საერთო წარმატებაში საკუთარ კონკრეტულ წვლილს-მეთქი. იმასაც დავამატებ, რომ ჯილდო უპირველესად ნდობა და მოვალეობაა, მისი მიღებისას იმასაც უნდა გადაავლო თვალი, თუ რით უპასუხებ მომავალში ამ დიდ ნდობას. ცხადია, დღეიდან კიდევ უფრო უკეთ უნდა ვიმუშაოთ, კვლავაც უნდა ვამრავლოთ წარმატებები.

ბადრი კახაძე,
ქუთაისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საავტომობილო ქარხნის ძრავის საამქროს მღარავი, სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის დელეგატი.

კომკავშირული

მზემ გზები გამოკვეთა
ჩვენთვის ყველაზე მკვეთრი. —
მზისთვის ამ ნათელ დღეთა
ჩვენც გვიბრძოლია მკერდით.
გრიგალს მამულის მტერთა
ჩვენც ვაჟკაცურად
ვკვეთდით.
ვწერთ სიმფონიას ფერთა, —
ადრეც ასევე ვწერდით. —
კომუნისტებთან ერთად!
კომუნისტების გვერდით!

საკეთილდღეოდ ხვალის
გულიც ერთი გვაქვს, ენაც.
არის კლდესავით მყარი
ჩვენი სნრაფვა და რწმენა.
მწვანეა ჩვენი გზა და
ხიდი — გულიდან გულზე.
ჩვენ სიყვარულმა გვზარდა —
მზეს სიხარულით ვუმზერთ.
მზე მამულია ჩვენი —
მანათობელი მარად.
გვიყვარს გუგუნი ჩქერის,
მაგრამ დაღლილი არა.

და რაც ხელწალმა ვთესეთ,
ხვალ რომ ხელმარჯვედ
ვმკიდეთ, —
ვაშენებთ ახალ ჰესებს,
ქარხნებს, კოშკებს და ხიდებს.
რაა იმაზე წმინდა,
რაა იმაზე დიდი,
რომ გულის გულად გვინდა
ყველა კოშკი და ხიდი?
ყველა სანლი და ჰესი
სიყვარულისთვის გვინდა,
სიხარულისთვის — ლექსი,
სიყვარულივით წმინდა.

ზღვისპირეული პალმა,
ლიმონი, ფორთოხალი
მზის აიტაცა ალმა
მზისფერი ჩვენი მხარის.
იმ ფერში ჩავაწანით
ფერი ვაზის და ბზისა
და ვარდფერობენ ცანი,
ჩვენ რომ მივყვებით
მზის გზას.
ჩვენ რომ ილიჩის დროშის
ფერმა გზა გვიდიადა,
რომ ვერ ვეტევით დროში,
მზე გულში გვინთია და.

ჩვენ გვწამს, რომ უნდა
გვწამდეს
რწმენა, რომელიც მიდის
ჩვენი ოცნების ცამდე
ჩვენი ოცნების ხიდით.

რომ ამ ოცნებით ვიწვით,
რომ ფიქრი ამ წვით
მიგვაქვს —
ვსწავლობთ, ვშრომობთ თუ
ვიღვწით,
უკუნს ვებრძვით თუ
გრიგალს.
სამშობლო — ჩვენი გული,
სამშობლო — ჩვენი აზრი, —
დახვავებული პურით,
აყვავებული ვაზით.

შენი წითელი დროშა
ასე ლაღია ოდეს,
მზე ოქროს ფერში ხატავს
დიდი ლენინის ორდენს.
და ჩემს რწმენას და იმედს
იმ მზის ნათელი აღგას,
ეს შენი დიდი ჯილდო
ჩემიც მგონია რადგან.

ცათა დაპყრობას ვბედავთ —
ვძლიეთ ლახვარი ბედის.
ყამირს დავეცით ელდად —
ბელტზე ვაწვინეთ ბელტი.
და დავახვავეთ ეს მთა
ბარაქა — შრომის ხვედრი.
მეტი კავშირი ხელთა!
გულთა კავშირიც მეტი!
კომუნისტებთან ერთად!
კომუნისტების გვერდით!

ევგენი ბართაია.

გულით აღვიქვით, საქმით ვუპასუხებთ!

დიდმა და ნათელმა დღესასწაულმა დაისადგურა თითოეული კომკავშირელის, საქართველოს დედაქალაქის მთელი ახალგაზრდობის გულში. დღესასწაულია პარტიისა და კომკავშირის ვეტერანთა, ომისა და შრომის გმირთა გულებში.

მთელ ჩვენს წარმატებებს უნდა ეუმადლოდეთ ჩვენს მამა-პაპებს, მათი შესანიშნავი ტრადიციები ცოცხლობს და მრავლდება ჩვენი დღევანდელი საქმეებით, თბილისის კომკავშირის 185-ათასიანი მებრძოლი რაზმის, მუშათა კლასის, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების, ქალაქის სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი დღეებით. გასაგებია, რომ საქმე არა მარტო თაობათა, ტრადიციათა მემკვიდრეობითობაა, არამედ ის უდიდესი ყურადღებაა, რომელიც ეთმობა როგორც დედაქალაქში, ისე მთელ რესპუბლიკაში მოზარდ თაობას, ის მაღალი ნდობაა, რომელსაც პარტია უწევს ახალგაზრდებს.

თბილისს სამართლიანად უწოდებენ საქართველოს გულს. იმაზე, თუ როგორ არის საქმე დედაქალაქში, ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი რესპუბლიკის აღმშენებლობითი წინსვლის რიტმი. ჩვენი ქალაქი, რომელშიც თავმოყრილია თერთმეტი უმაღლესი სასწავლებელი, სპეციალისტთა ნამდვილი სამჭედლო გახდა. რამდენი ახალგაზრდა მუშაიძენს კვალიფიკაციას პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, რომელთა რიცხვი თბილისში ორმოცს აღემატება! უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი დგებიან ჩარხებთან და მარტივის პულტებთან, ადგენენ პროექტებს, წერენ მეცნიერულ ნაშრომებს, ქმნიან ხელოვნების ნაწარმოებებს. ჩვენი კომკავშირელების მონაწილეობით გამოშვებულ 370 სახეობის პროდუქციას მინიჭებული აქვს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. ქალაქის 500-ზე მეტი კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივი, 15 ათასი ქალაშვილი და ჭაბუკი — კომუნისტური შრომის დამკვრელი — გრაფიკის გასწრებით მუშობს. მათგან სამი ათასზე მეტი უკვე ხუთწლედის უკანასკნელი წლის ანგარიშში შრომობს. თავდადებული შრომის მაგალითებს გვიჩვენებენ ახალგაზრდა თბილისელები ბაიკალ-ამურის მაგისტრალის, კამის საავტომობილო ქარხნის, „ატომმაჩქანის“, დასავლეთ ციმბირისა და არაშავიწყანიდაგვიანი ზონის მშენებლობებზე...

სამშობლოს მაღალი ჯილდო, რომელიც საქართველოს კომკავშირს მიენიჭა, ასევ ძალებს გვმატებს, შთაგვაგონებს ახალ დიდ საქმეებს, ახალი შინაარსით აღავსებს დედაქალაქის კომკავშირის ბრძოლას ყველგან და ყველაფერში სოციალისტური ცხოვრების წესის, კომუნისტური მორალისა და ზნეობის ნორმების დამკვიდრებისათვის. და ჩვენს მოვალეობად ის მიგვაჩნია, რომ ბოლომდე მივიყვანოთ რესპუბლიკის დედაქალაქის კომუნისტთა, ყველა მშრომელის ბრძოლა პარტიის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის.

ილია ხუციშვილი,
საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

შრომა უპირველესი ალმზრდელია

ჩემი, როგორც კომკავშირული მუშაკის ბიოგრაფია, ჩვეულებრივად, სამხრეთ ოსეთის ბევრი სხვა ახალგაზრდის ბიოგრაფიის მსგავსად, მინდორსა და ფერმაში იწერებოდა. საშუალო სკოლა რომ დავამთავრე, 1971 წელს თამარაშენის საბჭოთა მეურნეობის მებოცვრეობის ფერმაში დავიწყე მუშაობა. 8 წელი დავყავი აქ. პირდაპირ ვიტყვი, შრომამ გამაზარდა, აქ მიმიღეს კომუნისტური პარტიის რიგებში, აქ მუშაობის დროს ამირჩიეს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრად. დავამთავრე სამრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგია-ქიმიის ფაკულტეტი.

დიდი შრომის დღეებია ახლა ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში. ამ დღეებს ეშზი და ლაზათი შეატა დიდმა ჯილდომ, რომელიც ახალი ენერგიით გვაავსებს. ჩვენმა ახალგაზრდობამ წელს სახელოვნად იშრომა მეცხოველეობისათვის საკვების დამზადებაზე, იშრომა თავდადებით, მთელი შეგნებით. ოლქში დამატებით შეიქმნა 46 ახალგაზრდული ბრიგადა. დავამზადეთ 4.525 ტონა თივა, 11.100 ტონა სენაჟი და ამდენივე სილოსი. განსაკუთრებით თავი ისახელეს თამარაშენელმა ახალგაზრდებმა. მათ დავალება 200 პროცენტით შეასრულეს.

მაღალი პოლიტიკური შეგნება გამოამჟღავნეს ლენინგორელმა ახალგაზრდებმა, განსაკუთრებით კი დადიანეთის ახალგაზრდულმა მეცხვარეთა ბრიგადამ ამირან ყველაშვილის მეთაურობით. ბრიგადა ნამატის მიღება-გამოზრდაში მთელს ოლქში პირველ ადგილზე გამოვიდა.

ახლა მეცხოველეობის ფერმებში 500-ზე მეტი ახალგაზრდა შრომობს. 45 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა ერთმანეთს ეჯიბრება მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის. სწორედ ამ ჯანსაღ პაექრობაში, ამ დიდ შეჯიბრებაში ყალიბდება და იწრთობა ჩვენი ახალგაზრდობის ხასიათი.

ნელი თედეევა,
საქართველოს ალკკ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი.

ყველა ჩრდილი რომ გავანათოთ

ძნელია დღეს აუღელვებლად ლაპარაკი და წერა. საქართველოს კომკავშირის ლენინის ორდენით დაჯილდოება მისი სახელოვანი ისტორიის მეტად ბრწყინვალე ფურცელია და დასტურია იმისა, რომ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაცია „საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით სულ უფრო ეფექტიანდება, ამდიდრებს ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, ხვეწს, სრულყოფს ახალგაზრდობისადმი ხელმძღვანელობის სტილს.

მაგრამ თვითკმაყოფილებას როდი უნდა მივეცეთ. ამ სასიხარულო დღეს ისიც უნდა ვთქვათ, რომ, როგორც ჩვენი, აფხაზეთის საოლქო კომკავშირული ორგანიზაციების აღმზრდელობითს მუშაობას, ისე სხვა ბევრ კომკავშირულ საქმეებს ჩრდილებიც ახლავს ხოლმე, რომელთა გასანათებლად უფრო მეზანსწრაფული და მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გვჭირდება. როდენ დასანანია, რომ ჯერ კიდევ ვხვდებით ლოთობისა და მუქთახორობის, მფლანგველობისა და უყაირათობის, ეროვნული კარჩაკეტილობისა და სხვა ნეგატიურ მოვლენებს.

მეტი გულმოდგინეა საჭირო ჩვენს სამშენებლო მოედნებზე, სადაც ბევრი კომკავშირელი შრომობს. თუმცა სამღურავი როდი ეთქმის ჩვენს კომპლექსურ ბრიგადას, რომელიც ძირითადად ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული. კარგი შედეგებით დავამთავრეთ ამ ბევრისმეტყველი წლის პირველი ნახევარი. მეორე კვარტალში პრემიაც დავიმსახურეთ.

ჩვენი 14-კაციანი ბრიგადა, რომელიც უმთავრესად საცხოვრებელ სახლებს აგებს, ნამდვილად ინტერნაციონალურია. ჩვენ გვერდით წარმატებით შრომობენ ბრიგადირი რ. სიგუა, კალატოზები და მებათქაშეები შ. ხოჯავა, გ. ზვერეული, რ. ლორთქიფანიძე, ბ. ჯოპუა, რ. ლარტკომია, მ. ვიდიშვილი და სხვები.

მაღალი ჯილდოს პასუხი ასეთია: ვიშრომებთ მთელი ენერგიით, ვადამდე და მაღალხარისხოვნად შევასრულებთ მშენებლობის გეგმებს.

ვიტალი აუხარუა,
№ 6 სამშენებლო ტრესტის მეექვსე სამშენებლო სამართველოს კომპლექსური ბრიგადის წევრი, კომკავშირულ ორგანიზაციის ბიუროს წევრი.

ჩვენ უნდა ვიდოთ თავს!

შრომის სიყვარულში არავის ჩამოუვარდებიან აჭარელი ახალგაზრდები. შორს რომ არ წავიდეთ, სულ ახალი გამარჯვება გავიხსენოთ: დიდი ჩაისათვის ლაშქრობაში ჩვენი კომკავშირელების წვლილი 40.000 ტონა ხარისხოვანი ფოთოლია. პირადად მე 3.500 კილოგრამის ნაცვლად 4.000 კილოგრამზე მეტი მოვკრიფე.

მაგრამ, სამწუხაროდ, ცხოვრების ყველა სფეროში როდი შეგვიძლია დავიკვეთოთ იდეალური წესრიგით. ჩვენ, ახალგაზრდებს, კომკავშირლებს განსაკუთრებით გულს გვტკივნს ის ფაქტი, რომ წარსულის სიბნელის კვალი ჯერ კიდევ მოლიანად არ არის ამოფხვრილი. ჩვენ იმასაც ვგრძნობთ, რომ ეს მისია ძირითადად ჩვენ— ახლანდელმა თაობამ უნდა ვიდოთ თავს, საბოლოო სიტყვა ჩვენ უნდა ვთქვათ ყოველივე დრომოჭმულისა და ხავსმოდებულის სამუდამოდ დასამარცხებლად. ჩვენ ხომ გვაქვს ბედნიერება ვცხოვრობდეთ, ვიღვწოდეთ, ვშრომობდეთ ტექნიკური პროგრესის, კოსმოსის ათვისების საუკუნეში. განა ამ დროს რელიგიურ ცრურწმენაზე უნდა გვჭონდეს ლაპარაკი?!

ეს დიდი ჯილდო, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირს ხვდა, უპირველესად მოვალეობაა ჩვენთვის, რასაც უფროდ უნდა მოპყვეს პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერება. მწამს, რომ გამარჯვებას ნაჩვევი ჩვენი კომკავშირი არაერთხელ დამტკიცებს იმას, რომ დიახაც იყო და კვლავაც იქნება ასეთი დიდი ნდობის ღირსი.

ნადეჟდა ბარამიძე,
ხელვაჩაურის რაიონის გონიოს კოლმეურნეობის მეჩაიე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ვზრდით ლეგენდების მწკრივს

რაოდენ ძალუმად ეხმიანება ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის დღეევანდელ განწყობილებას შოთა ნიშნიანიძის ლექსი „ჩემი თაობის ბიოგრაფია“:

„ასე ვმრავლდებით, ახ
ვზრდებით,
ვზრდით ლეგენდების
მწკრივს“...

განა ლეგენდას არ ჰგავს მკლავმოუღლელი, საერთო მიზნისათვის ყოველ წამს მშვილდივით მოზიდული საქართველოს კომკავშირის სახელოვანი საქმეები, სიხაუჭე ბრძოლასა და შრომაში, საქვეყნო საქმის თავდადება და სიყვარული!

ჩემი თაობის ბიოგრაფია ჩემი კომკავშირია — მეგობარი და მრჩეველი, მშობლიური და მახლობელი, ლამპარი, რომელიც სავალ გზებსა და ბილიკებს გვინათებს.

ახლა, როდესაც სოფლად ხუთწლედის მეოთხე წლის ნაამაგარის შეჯამება ხდება, მეტად თვალსაჩინოდ მოჩანს ჩვენი რაიონის ახალგაზრდობის მიერ წლის მანძილზე გაწეული გარჯა. ყორელ კომკავშირელთა თითქმის ცხრა-ათასიანმა რაზმმა წარმატებით გაანაღდა მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისა და დამზადების წლიური დავალებები. ახალგაზრდების მარჯვენით დამზადდა მეცხოველეობის საკვების ზეგეგმითი ტონები, ბოსტნეული და კუკოკვანი ხილი. აჭკამად რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში გაჩაღებულია თესლოვანი ხილის კრეფა.

დღევანდელი დღე ჩემი ახალგაზრდული ბიოგრაფიის უშვნელოვანესი დღეა. სამშობლოს უმაღლესი ჯილდოთი აღინიშნა საქართველოს კომკავშირის შრომითი დამსახურება, მე კი სწორედ ამ ბედნიერ დღეს შევასრულე ჩემი უმთავრესი დანაპირები — ხილის კრეფის პირადი ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელწადში გავანადგადე — მოვკრიფე 149 ტონა მაღალხარისხოვანი ხილი.

სწორედ დღეიდან მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში დავიწყე შრომა.

კომკავშირი ჩემს ცხოვრებაში, ჩემი ცხოვრება კომკავშირთან ერთად, რომელმაც მასწავლა, დამაყენა ცხოვრების გზაზე, გამიმრავლა მეგობრები, მაზიარა შრომას, კოლექტივის სიყვარულს.

მადლობელი ვარ შენი, კომკავშირო!

ეთერ წიქარიძე,
გორის რაიონის ძევერის საბჭოთა მეურნეობის მეხილე, კომკავშირის პრემიის ლაურეატი.

საქმის სიყვარული

საოლქო დამთავრების შემდეგ გადავწყვიტე სამუშაოდ დავრჩენილიყავი კოლმეურნეობაში. მე-ვენახეობის № 9 ბრიგადაში ჩამრიცხეს, სწორედ იქ, სადაც ჩემი ოჯახის წევრები მუშაობენ. მაშინ გადავწყვიტე, ერთხელ არჩეული გზისთვის არასოდეს მეღალატა. დღემდე ვასრულებ სიტყვას. და რაც მთავარია, ვგრძნობ, რომ არჩევანში არ შევმცდარვარ.

მე უშუალო მონაწილე ვარ იმ დაძაბული შრომისა, რომელიც ცუდ კლიმატურ პირობებში უხდება კონდოლის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობას. წელს განსაკუთრებული მზრუნველობა დასჭირდა 390 ჰექტარზე გადაჭიმულ ვენახებს. ჯერ იყო და ზხირი წვიმებისაგან ძლივს გადავარჩინეთ ვაზის ყვავილი, მწვანე ოპერაციები დროულად ჩავატარეთ, ვაზის წამლობის აგროვადები მკაცრად დავიცავით, ასე შევძელით ნაყოფის შენარჩუნება. ახლა ხანგრძლივ გალვასთან ბრძოლით გავიკვლიეთ გზა სანუკვარი ოცნებისაკენ — სავეგმო 2.700 ტონის ნაცვლად სახელმწიფოსათვის, მიგვეცა 2.900 ტონა ყურძენი. გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება განყოფილებებსა და ბრი

ᲓᲘᲓᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ

ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲓᲐᲜ

3. ᲧᲐᲛᲘᲠᲘ

„ᲝᲠ ᲗᲕᲔᲖᲔ მეტი გავიდა, რაც საქართველოს კომკავშირის 6.500-ზე მეტი წარგზავნილი ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კუსტანაის ოლქის საბჭოთა მეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და კოლმეურნეობებში მუშაობს. ახლა თითოეული ჩვენგანი გონების თვალს აელებს ყაზახეთში გატარებულ დღეებს, აჯამებს თავისი მუშაობის შედეგებს და საკუთარ თავს სავსებით კანონიერ შეკითხვას უსვამს: „რა სარგებლობა მოვუტანე მე სამშობლოს, რა ვნახე საინტერესო და რით გავამდიდრე ჩემი ცოდნა და ცხოვრების გამოცდილება?“

პასუხი ერთია: საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა ფასდაუდებელი დახმარება გაუწიეს ყამირის ახალმოსახლეებს მოსავლის უდანაკარგოდ აღების, მეცხოველეობის საკვები ბაზით უზრუნველყოფის, საცხოვრებელი ბინების, პირუტყვის სადგომების მშენებლობაში, შენობათა შეკეთებასა და სხვა მრავალნაირ სამუშაოში.

სადაც უნდა მიხვიდეთ, რომელ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურში თუ სამშენებლო ობიექტზე — ყველგან ერთი აზრია, ერთი შეხედულებაა ჩვენს ბიჭებზე — ღმერთმა მოგაცეთ ასეთი ვაჟკაცები მუშაობაშიც, ლხინშიც და ჭირშიც.

ჩვენი ახალგაზრდობის ძალებით ყამირის მოსავალი აღებულია 690 ათას ჰექტარზე. ოლქის 5 რაიონში არსებულ კოლეგებზე მომუშავეთა ძირითად მასას ჩვენი ახალგაზრდობა წარმოადგენდა. ორი თვის განმავლობაში ჩვენ შეავგრავეთ, მოვზიდეთ და დავზვინეთ 39.040 ტონა თივა, ჩავდეთ 551.221 ტონა სილოსი. აშენდა ან კაპიტალურად შეკეთდა 70.500 კვადრატული მეტრი სადგომი პირუტყვისათვის.

ამავე პერიოდში ჩვენი ძალებით ელექტრიფიცირებული და რადიოფიცირებულია 225 კილომეტრი სიგრძის ფართობი, გათხრილია 25-ზე მეტი ჭა, დამზადებული და გადმოზიდულია 14.800 კუბური მეტრი ხე-ტყე და დიდძალი სხვადასხვაგვარი საშენი მასალა, მოსავლის აღების წინა პერიოდში მომზადდა 150 ჰექტარზე მეტი ფართობი კალიებისათვის.

ტრაქტორებით, რომლებზეც ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები მუშაობდნენ, მაღალხარისხოვნად მოიხნა 75 ათას ჰექტარზე მეტი.

შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტობამ, გარეუბნისა და წულუკიძის რაიონების მექანიზაციის სასწავლებლის მოსწავლეებმა, რომლებმაც კუსტანაის ოლქში მოსავლის ასაღებად ჩამოსულ ახალგაზრდებს მოუწოდეს შრომადღეებით გამომუშავებული მთელი კუთვნილი მარცვლეული სახელმწიფოს მიჰყიდონ. ამ გზით ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა სახელმწიფოს 25 ათას ფუთზე მეტი პური ჩააბარეს.

საქართველოს ახალგაზრდობის მიმართვას მხარი დაუჭირა მოსკოვის, გორკის, ივანოსლავლის, სვერდლოვსკისა და სხვა ქალაქების სტუდენტობამ.

ყამირზე ყოფნის დღეები მაქსიმალურად იქნა გამოყენებული ხალხთა მეგობრობის დიადი იდეების ფართო პროპაგანდისათვის, ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებისათვის. წაკითხულ იქნა 250-ზე მეტი ლექციაა-მოხსენება, მუშაობდა 35-ზე მეტი აგიტმხატვრული ბრიგადა.

სერიოზული დახმარება გაუწიეს ოლქის მშრომელებს საქართველოდან გაგზავნილმა ექიმებმა. აქ ოცამდე ქართველი ექიმი მუშაობდა.

თავდადებისა და სამშობლოს ერთგული სამსახურისათვის მთავრობის ჯილდოთი — მედლით „ყამირი მიწების ათვისებისათვის“ დაჯილდოვდა 150 კაცი.

ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 375 ახალგაზრდა თავისი საპატიო სიგელით დააჯილდოვა. პრეზიდიუმმა საპატიო სიგელებით დააჯილდოვა აგრეთვე საქართველოს კომკავშირის 15 რაიონული და 32 პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია.

ყაზახეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი დაიმსახურა 648 კაცმა, ხოლო კომკავშირის კუსტანაის საოლქო და რაიონული კომიტეტების საპატიო სიგელები და ქების ფურცლები — 4.800-ზე მეტმა კომკავშირელმა.

გარდა ამისა, საბჭოთა მეურნეობის და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დირექტორებმა კოლმეურნეობათა გამგეობებისა და მშენებლობათა ხელმძღვანელებმა 1.150 კაცი დაჯილდოვეს ფასიანი საჩუქრებით, რომელთა ღირებულება 185 ათას მანეთს შეადგენს.

მკითხველს ალბათ გაუკვირდება, რატომ არ იხსენიებენ მოწინავეებს, იმათ, ვინც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი. მაგრამ ეს თვალმქმის შეუძლებელია. შეუძლებელია იმიტომ, რომ მათზე სტატია კი არა, წიგნი, რომანი უნდა დაიწეროს, ისინი ბევრნი არიან, მე ვიტყოდი ჩვენი ახალგაზრდობის 99 პროცენტი მოწინავეა: საუბალო გამოანგარიშებით ჩვენ არ გვყოლია ახალგაზრდა, რომელსაც ყოველდღიური ნორმა 250-300 პროცენტით არ შეესრულებინოს, მოდი ახლა და ჩამოთვალე მათი გვარები! ვფიქრობთ, მომავალში ყამირზე ქართველი ახალგაზრდობის გმირობის შესახებ დაიწერება წიგნი, რომელიც ნაწილობრივ მაინც შეავსებს ამ ნაკლს.

ჩვენ მადლობა უნდა ვუთხრათ ჩვენს სტუდენტობას, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ არ ჰქონდა გავლილი შრომითი აღზრდის სერიოზული სკოლა, მუშაობის, გამძლეობის შესანიშნავი ნიმუშები გვიჩვენა.

ჩვენ მადლობა უნდა ვუთხრათ საქართველოს მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობის ღირსეულ წარმომადგენლებს, რომლებმაც ჭეშმარიტი შრომითი გმირობით სახელი და დიდება დაიმსახურეს.

ჩვენს წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანეს უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების ლექტორებმა და მასწავლებლებმა. ისინი 52 იყვნენ, მათ შორის 32-— მეცნიერებათა კანდიდატი.

როგორც იტყვიან, ჭირში და ლხინში, სამუშაო უბნებზე თუ გასართობ საღამოებზე ლექტორ-მასწავლებლები თავიანთ აღსაზრდელებთან ერთად იყვნენ, მათი მიღწევებითა და წარუმატებლობით ცხოვრობდნენ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ყამირი არა მარტო სტუდენტებისათვის იყო შრომითი აღზრდის საუკეთესო სკოლა, არამედ ლექტორ-მასწავლებლებისთვისაც. აქ დაუკავშირდა ერთმანეთს ლექტორი — ადამიანი და სტუდენტი — ადამიანი, მთელი თავისი თვისებურებებითა და ადამიანური თვისებებით.

თუ გვინდა, რომ ჩვენი ლექტორ-მასწავლებლობა ახლოს გაეცნოს თავის სტუდენტობას, ასეთი პრაქტიკა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. ყამირზე საქართველოდან 77 კომკავშირული მუშაკი გაიგზავნა. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ახალგაზრდობის სული და გული, ყველა მისი შრომითი წარმატების ორგანიზატორი იყო.

აქ ჩვენ ნამდვილი სკოლა, ადამიანთა შესწავლისა და შეცნობის სკოლა გავიარეთ. არა მგონია, ყამირელ კომკავშირულ მუშაკებს შორის აღმოჩნდეს ისეთი, ვისაც არ შეეძლოთ სიერთო ენის გამონახვა ახალგაზრდობის ნებისმიერ ჯგუფთან.

როცა ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები კუსტანაის ოლქში ჩამოვიდნენ, სახელდახელოდ მოწვეული კომკავშირულ კრებებზე გადაწყდა — ყამირელმა კომკავშირელებმა ოქტომბრის რევოლუციის მეორმოცე წლისთავს ახალი შრომითი საჩუქრები მიუძღვნანო. ვფიქრობთ, მათ კარგი საჩუქარი მოუმზადეს სახელოვან იუბილეს.

ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ;

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ᲧᲐᲖᲐᲮᲔᲗᲘ,
ᲙᲣᲡᲢᲐᲜᲐᲘ,

1957 ᲬᲚᲘᲡ“.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

„ᲛᲘᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ პროგრესული ახალგაზრდობის მეგობრობისა და ანტიიმპერიალისტური სოლიდარობის განმტკიცებისათვის“ — ასეთი დევიზით მიმდინარეობს თბილისში საბჭოთა კავშირისა და იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდობის მეგობრობის IV კვირეული. გასულ კვირას მსახიობის სახლში მოეწყო ამ კვირეულის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

საღამო გახსნა თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ხუციშვილმა.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის, ჩვენი ქეყვნის ყველა ქალიშვილისა და ჭაბუკის სახელით დემოკრატიული იემენის ახალგაზრდობის წარმომადგენლებს მიესალმა სსრ კავშირის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ლორთქიფანიძე.

შემდეგ გამოვიდა იემენის ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი რ. აქბარი.

საბჭოთა და იემენელი ახალგაზრდობის მეგობრობის კვირეულის გახსნას დაესწრო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჟ. შარტავა.

იმავე დღეს მეგობრობის კვირეულის მონაწილენი იყვნენ შეხვედრაზე საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში, აგრეთვე კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში, სადაც კვირეგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი.

22 ოქტომბერს საბჭოთა და იემენელი ახალგაზრდობის წარმომადგენელნი მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

სსრ კავშირისა და იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდობის მეგობრობის კვირეული დაიქადაგა.

(საქინფორმი).

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲟᲔᲜᲔᲕᲐ, 22 ოქტომბერი. აქ მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის საბჭოს XIX სესიამ, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ 160-ზე მეტი ქვეყნის, მათ შორის სსრ კავშირის, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დელეგაციები. სესიის მონაწილეებმა მიიღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის V სესიის რეზოლუციების შესრულებასთან დაკავშირებული მთელი რიგი გადაწყვეტილებანი. ეს სესია მიმდინარე წლის მაისივნისში გაიმართა მანილაში.

Ა. ᲙᲣᲜᲘᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲚᲘᲡᲐᲑᲝᲜᲘ, 22 ოქტომბერი. პორტუგალიის კომპარტიის გენერალური მდივანი ა. კუნიალი გამოვიდა აქ გამართულ მრავალათასიან მიტინგზე, რომელიც პორტუგალიის კომპარტიამ მოაწყო და მიეძღვნა ლისაბონის ოლქისაგან ხალხის ერთიანობის კავშირის ბლოკის კანდიდატების წამოყენება დეკემბრის საყოველთაო შუალედურ საპარლამენტო და მუნიციპალურ არჩევნებში.

მხოლოდ ხალხის ერთიანობის კავშირის კანდიდატებისათვის მასობრივი ხმის მიცემის შედეგად შეიძლება შეიქმნას ნამდვილად დემოკრატიული მთავრობა, რომელშიც კომუნისტთა მონაწილეობის აუცილებლობას ამტკიცებს 25 აპრილის რევოლუციის შემდგომდროინდელი მოვლენების მთელი მსვლელობა, ხაზგასმით აღნიშნა ა. კუნიალმა.

ორატორმა პოლიტიკა გაუკრიტიკა სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობას, რომელსაც დღემდე არ განუსაზღვრავს თავისი პოზიციები არჩევნების შემდგომ პერიოდში.

დასასრულ ა. კუნიალმა თქვა, რომ მთელ ქვეყანაში მიმდინარეობს მასების მძლავრი მობილიზაცია დემოკრატიული ძალების ერთიანობის დაცვის, ხალხის ერთიანობის კავშირის, პორტუგალიის კომპარტიის მხარდაჭერის ლოზუნგებით.

ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲐᲓ

ᲑᲐᲚᲓᲐᲓᲘ, 22 ოქტომბერი. აქ გაიხსნა არაბული ქვეყნების პირველი სემინარი ნედლი ნავთობისა და გაზის ნედლეულის ხაგრძლივშესანახი მიწისქვეშა საცავების შექმნის ტექნიკურ შესაძლებლობათა შესწავლის პრობლემებზე. სემინარის მონაწილენი შეიისწავლიან აგრეთვე გეოლოგიურ პირობებს, რომლებშიც შესაძლებელია ამგვარი საცავების მშენებლობა.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲡᲐᲒᲔᲑᲘ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტექნიკური შეტანა სოფლის „პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სასწავლო მეურნეობათა საწარმოო საქმიანობით მიღებული და ამ სასწავლებლების განკარგულებაში დასატოვებელი მოგების გამოყენების წესში.

მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, მოგების 85 პროცენტი უნდა მოხმარდეს სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებასა და განმტკიცებას, სასწავლო მეურნეობათა განვითარების კაპიტალურ დანახარჯებს, საერთო საცხოვრებლებისა და საცხოვრებელი სახლების, აგრეთვე სასწავლებელთა მეცხოველეობის ფერმებსა და სხვა საწარმოო სადგურების მშენებლობას, ჯოგის ფორმირებას, ამ მოგების ნაწილი შეიძლება გადაუნაწილოდეთ სასწავლებლებს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადაწყვეტილების საფუძველზე.

მოგების დანარჩენი 15 პროცენტი უნდა მოხმარდეს მოსწავლეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას, სასწავლებლებისა და სასწავლო მეურნეობათა მატერიალურ წახალისებას. (საკდესი).

□

ᲫᲔᲒᲚᲘ—ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲡ

ᲡᲘᲚᲜᲐᲚᲘ. (საკ. კორ.). დიმიტრი მაჩხაანელი (ნადირაშვილი) ცნობილია არა მარტო როგორც მწერალი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი, არამედ როგორც ქიზიყში (მაჩხაანში) პირველი სავაჭრო დეპოს, ანუ სავაჭრო ამხანაგობის და ბანკის დამაარსებელი.

მადლიერმა თანამემამულეებმა ამას წინათ სოფლის ამაგდარს მშობლიურ სოფელ ქვემო მაჩხაანში სამარადჟამო ძეგლი დაუდგეს.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ

ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ — ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ

ᲫᲐᲚᲖᲔ ხელსაყრელი გამოსაზრდელია სამრეწველო საფუძველზე სითბოსმოყვარული ფრინველი ციცარი, რომელსაც ნაზი და გემრიელი ხორცი აქვს. ამას ადასტურებს სტავროპოლის მხარის საბჭოთა მეურნეობა „ბეშტაუგორეცის“ გამოცდილებაც, რომელიც წარმოდგენილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის „მეფრინველეობის“ პავილიონის ექსპოზიციაში.

ამ მეურნეობაში ციცარები დიდ მექანიზებულ საფრინველეებში ჰყავთ. წიწილებისათვის შემუშავებულია ოტომატური მიკროკლიმატი. ფრინველებს აძლევენ ყუთიან საკვებს, რომელშიც შედის წვნიანი მწვანე ბალახი, დაქუცმაცებული კომბოსტო, ჭარხალი და სხვ. სწორი მოვლისა და მეცნიერულად დასაბუთებული კვების შედეგად ციცარი სწრაფად იზრდება: სამი თვის ასაკში იგი 900-1.000 გრამს აღწევს. მეურნეობას განზრახული აქვს მიმდინარე ხუთწლედში მათი სულადობა 12 ათასამდე გაადიდოს, ყოველწლიურად გამოზარდოს სულ ცოტა ნახევარი მილიონი ბროილერი.

● ●

ᲗᲕᲘᲗᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲙᲕᲔᲒᲡᲐᲠᲘᲒᲔᲒᲔᲚᲘ

ᲤᲔᲠᲛᲔᲑᲡᲐ და კომპლექსებში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის განკუთვნილი ეფექტიანი მანქანების ოჯახს შეემატა საკვების თვითმავალი სარიგებელი კსა-5.

გარეგნულად იგი ჰგავს ავტოკარს, რომელზეც დადგმულია ტონაზე მეტი ტევადობის ბუნკერი. აგრეგატი მუშაობს აკუმულატორული ბატარეებით და შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფერმებში სიმინდის მწვანე მასის, თივის, სენაჟის დაქუცმაცებული ძირხვენების მისატანად, საკვების გადმოტვირთვა ხორციელდება სამართავი პულტიდან.

ახალი საკვებსარიგებელი წარმოდგენილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის „მეცხოველეობის“ ექსპოზიციაში. მისი შეძენისათვის შეკვეთებს იღებს „სახსოფლტექნიკა“.

● ●

ᲣᲚᲢᲠᲐᲑᲒᲔᲠᲐ ᲤᲔᲠᲛᲐᲨᲘ

ᲣᲚᲢᲠᲐᲑᲒᲔᲠᲘᲡ ახალი „პროფესიაა“ ცხოველების მკურნალობა. უხმაურო ტალღები წარმატებით კურნავენ სხვადასხვა დაავადებას — მასტიტებს, წყლულებს, ფურუნკულოზს.

ვეტერინარული ულტრაბგერეული თერაპიული აპარატი ვეტ-1, რომელიც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზეა წარმოდგენილი, გამოირჩევა კომპაქტურობით, მცირე წონით. მისი გამოყენება შეიძლება ჩვეულებრივ ფერმებსა და სამრეწველო კომპლექსებში. ულტრაბგერით ცხოველების მკურნალობა ამაღლებს ვეტერინარული მუშაობის კულტურას.

ვეტერინარული ულტრაბგერეული აპარატი გამოფენაზე წარმოადგინეს პირუტყვის არაგადამდებ დაავადებათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა და ვორონეჟის აკადემიკოს კ. დ. გლინკას სახელობის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტმა.

(საქინფორმის სპეც. კორ.).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.

3. ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ



ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ „უნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. 76 წლისა გარდაიცვალა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი მეტყევე, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ვახტანგ გულისაშვილი — საქვეყნოდ განთქმული მეცნიერი, დაუცხრომელი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე.

3. გულისაშვილი დაიბადა 1903 წელს საგარეჯოში, ცნობილი პედაგოგის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ზაქარია გულისაშვილის ოჯახში. 1926 წელს დაამთავრა ლენინგრადის სატყეო-ტექნიკური აკადემიის სატყეო მეურნეობის, 1930 წელს კი ხის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტები. 1935 წელს 3. გულისაშვილმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1944 წელს იგი აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1946 წელს — აკადემიკოსად.

3. გულისაშვილმა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაიწყო და სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია. 3. გულისაშვილის მეცნიერული ინტერესების სფერო ძალზე ფართო იყო: მეცნარეთა ეკოლოგიის, მეტყევეობის, ტყეთმცოდნეობის, ნიადაგთმცოდნეობის, მცენარეთა გეოგრაფიის, ფიზიოლოგიის, პალეობიოლოგიის, გამჭვანების და სხვა საკითხები. 3. გულისაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობაში უმთავრესი იყო შრომები მთის პირობებში ტყეთმცოდნეობის და მეტყევეობის, მერქნიანი მცენარეების ეკოლოგიის, ტყეთა გეოგრაფიის, გარემო სამყაროსთან ტყის ურთიერთკავშირის, ტყეების წყალდამცავი და ნიადაგთდაცვითი თვისებების, მთავარი და უფალედი სარგებლობის ჭრის სისტემებისა და სხვა მრავალ საკითხზე. 3. გულისაშვილი სავსებით დამსახურებულად ითვლებოდა ჩვენი ქვეყნის სამთო მეტყევეობის დარგის წამყვან სპეციალისტად.

3. გულისაშვილმა მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა დაგვტოვა, რომელიც ითვლის 110 ნაშრომს, მათ შორის 15 მონოგრაფიას. იგი ავტორია კაპიტალური ნაშრომისა „სამთო მეტყევეობა“, რომელიც ბევრ ენაზე ითარგმნა.

3. გულისაშვილმა დიდი ღვაწლი დასდო რესპუბლიკაში ბუნების დაცვის საქმეს. იგი იყო „ბუნების მეგობრის“ რესპუბლიკური საზოგადოების ორგანიზაციის ერთ-ერთი ინიციატორი.

3. გულისაშვილი წარმატებით უხამებდა ერთმანეთს ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობასა და დიდ პედაგოგიურ და მეცნიერულ-ორგანიზატორულ მოღვაწეობას. 25 წლის განმავლობაში განაგებდა იგი მეტყევეობის კათედრას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სადაც მეტყევეობის სპეციალურ კურსს კითხულობდა. წლების მანძილზე კითხულობდა იგი მცენარეთა ეკოლოგიის და ბუნების დაცვის სპეციალურ კურსებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

3. გულისაშვილმა შექმნა სამეცნიერო მეტყევეობის სკოლა, რომელმაც დიდი ავტორიტეტი მოიპოვა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. 1945 წელს 3. გულისაშვილის ინიციატივით ჩამოყალიბდა თბილისის სატყეო ინსტიტუტი, რომლის უცვლელი დირექტორიც თვითონ იყო დღიდან დაარსებისა.

მან რამდენიმე ათეული მეცნიერი მუშაკი აღზარდა სატყეო მეურნეობის დარგს.

მრავალი წლის განმავლობაში 3. გულისაშვილი იყო „ბუნების მეგობრის“ რესპუბლიკური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოთა კავშირის საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის წევრი, საქართველოს აზია-აფრიკის ქვეყნებთან სოლიდარობის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე და საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნებთან სოლიდარობის კომიტეტის წევრი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრი. არჩეული იყო საქალაქო საბჭოს დეპუტატად. იგი იყო ეურნალების „ლესოვედენიეს“ და „საქართველოს ბუნების“, აგრეთვე ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგიების წევრი.

3. გულისაშვილი მონაწილეობდა მეტყევეობისა და მშვიდობისათვის ბრძოლის საკითხებისადმი მიძღვნილ მრავალ საერთაშორისო შეკრებაში.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასეს 3. გულისაშვილის დამსახურება. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, ოთხი შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მეცნიერი, პედაგოგი და ჰუმანელი, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, გულისხმიერი და გულთბილი ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ენერგია და ნიჭი ჩაქსის სამშობლოს შეალია.

3. გულისაშვილის ხსოვნა მარადჟამს დარჩება ჩვენს გულში.

Ე. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ, Გ. ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲘ, Პ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ზ. ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔ, Ა. ᲘᲜᲐᲣᲠᲘ, Ზ. ᲙᲝᲚᲒᲘᲜᲘ, Ო. ᲙᲣᲚᲘᲨᲔᲕᲘ, Თ. ᲛᲔᲜᲗᲔᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ზ. ᲞᲐᲪᲐᲠᲘᲫᲔ, Ჯ. ᲞᲐᲪᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ო. ᲠᲔᲠᲫᲔᲜᲘᲐ, Ზ. ᲩᲮᲔᲘᲫᲔ, Ნ. ᲖᲘᲗᲐᲜᲐᲕᲐ, Ს. ᲮᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ბ. ᲐᲓᲚᲔᲘᲑᲐ, Თ. ᲛᲝᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ვ. ᲞᲐᲞᲣᲜᲘᲫᲔ, ᲤᲘ. ᲡᲐᲜᲐᲙᲝᲔᲕᲘ, Დ. ᲨᲐᲠᲗᲐᲕᲐ, Ე. ᲑᲐᲠᲐᲫᲔ, Ზ. ᲒᲔᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Თ. ᲨᲐᲠᲯᲐᲜᲘᲫᲔ, Ს. ᲓᲣᲠᲛᲘᲨᲘᲫᲔ, Ლ. ᲖᲐᲥᲐᲘᲫᲔ, Ვ. ᲙᲐᲠᲐᲠᲐᲕᲐ, Თ. ᲣᲠᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ნ. ᲙᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ, Მ. ᲓᲐᲠᲐᲡᲔᲚᲘᲐ, Ლ. ᲧᲐᲜᲩᲐᲕᲔᲚᲘ, Ვ. ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ, Გ. ᲛᲐᲯᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ო. ᲮᲘᲜᲖᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Თ. ᲩᲘᲜᲩᲐᲚᲐᲫᲔ, Ზ. ᲯᲘᲜᲯᲐᲠᲐᲫᲔ, Გ. ᲖᲘᲒᲐᲣᲠᲘ, Ზ. ᲓᲣᲓᲐᲣᲠᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს თბილისის სატყეო ინსტიტუტი და საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, თბილისის სატყეო ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲡ ᲫᲔ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომი და საგარეჯოს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საგარეჯოს რაიონის მკვიდრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, „გარეჯის“ კულტურის სახალხო უნივერსიტეტის საპატიო რექტორი

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲡ ᲫᲔ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲒᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲝᲛᲐᲒᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ მაღალმთიანი რაიონებიდან დაბრუნდა ექსპედიცია „დაჭრილი ბუნება“.

ექსპედიციამ, რომელიც საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკურმა საზოგადოებამ „ბუნების მეგობარმა“, სატყეო მეურნეობის სამინისტრომ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარემოს დაცვის საპრობლემო ცენტრმა მოაწყვეს.

ექსპედიციამ შეისწავლა მდინარე არაგვის აუზი, თერგისა და ენგურის ხეობები და სხვ. და დასახა ტყეების დაცვის, მთიან ზონაში ტყის გაშენების აქტუალური ღონისძიებები, გამოიკვლია ჰაერის შემადგენლობის ცვალებადობის, წყალსატევებში თევზის, კერძოდ, კალმახის შემცირების მიზეზები.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ“

4. ერთგულება

ახალგაზრდობის აღზრდა მრავალ /ასპექტს/ გულისხმობს, ამოსავალი წერტილი კი ერთია მხოლოდ — ჩვენი ყოველი თაობა წინა თაობის საქმის ერთგულების გრძნობით უნდა აღიზარდოს. მათ იდეალებში წინა თაობის იდეალების უსაზღვრო ერთგულებას უნდა ვხედავდეთ. მათ მიზნებში, მისწრაფებებში, სულისკვეთებაში უფროსების საქმეთა ანარეკლი უნდა ჩანდეს, რასაკვირველია, ერგვარ პრიზმაში გარდატეხილი.

ჩვენმა მომავალმა თაობამ შეესაბამებოდა იქის, რა საპატიოა ესტაფეტა, დღეს თუ ხვალ რომ უნდა ჩაიბაროს. ისინი აქ, კომკავშირის ისტორიის მუზეუმში ერთხელ კიდევ შეავლებენ თვალს გამოფენილ მასალას და სიამაყის გრძნობა უფრო მძაფრდება. „უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე წინა თაობების ახალგაზრდობის საქმიანობის კიდევ ერთხელ გადათვალიერებამ. დღეს უფრო ნათლად ვიგრძენით, რომ ჩვენ მოვალენი ვართ ვიყოთ ღირსნი, გვეწოდოს მომავალში მათი საქმეების გამგრძელებლები“ — წერენ მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში თბილისის 55-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელები.

აქ, მუზეუმში თეიმურაზ ჯვარშვილის სკულპტურულ კომპოზიციასთან „კომკავშირის შვილები“ იღებენ პიონერთა და კომკავშირის რიგებში შოსწავლეებს, აქ დებენ ისინი ფიცს.

არც წინა თაობების „კომკავშირელები არიან დავიწყებული. ამას წინათ ვეტერან ყამირელთა შეკრება გაიმართა აქ. „კიდევ ერთხელ გაცოცხლდა თვალწინ ბანელილი წლები, თითქოს ახალგაზრდობა დაბრუნდა, გმადლობთ ამ სასიამოვნო გრძნობისათვის“ — წერენ ვეტერანი ყამირელები ბ. ბერაძე, ე. ქობულაძე, თ. ურუმაშვილი, ო. ბასილაშვილი და სხვები.

ჩვენი დღეების კომკავშირელების, ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდობის, საქმეთა ამსახველი მასალა აგვირგვინებს მუზეუმიდან, მიღებულ შთაბეჭდილებას. კიდევ ერთხელ გრძნობ, რომ არ ჩამქრალა ის ნაპერწკალი, წინა თაობათა გულში რომ ღვიოდა, ხედავ, რომ ყოველი მომდევნო თაობა ღირსეული შვილია წინასი და მის საქმეთა განმგრძობი. ასე ყოფილა, ასე იქნება!

გ. ხარებაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.



საჭადრაკო ფანტასტიკა

თუ ქალთა საზონთაშორისო ტურნირების ისტორიას გადავავლებთ თვალს, ძნელია ანალოგია მოვუნახოთ ნახა იოსელიანის ჭეშმარიტად ფანტასტიკურ მიღწევას. ჩვენ შევეჩვიეთ იმ აზრს (და სრულიად სამართლიანადაც), რომ საზონთაშორისო ტურნირი უმძიმესი შეჯიბრებაა, სადაც წარმატების მისაღწევად მთელი ძალების მობილიზაცია, ბოლომდე შეუპოვარი თამაში და უდიდესი ენერგიის დახარჯვაა საჭირო. სწორედ ასე იყო 1976 წლის თბილისისა და როზენდალის (ჰოლანდია) საზონთაშორისო ტურნირებში. ასე იყო ახლაც (ყველა სხვა მონაწილესათვის!) რიო-დე-ჟანეიროში. მაგრამ, წარმოიდგინეთ, ეს სიტყვები სრულიადაც არ ეხება ნახა იოსელიანს, რომელსაც თამამად შეუძლია თბილისში გამოგზავნოს დეპეშა უკვე მრავალი საუკუნის განმავლობაში ცნობილი ტექსტით: „მიხედი, ვნახე, გავიმარჯვე!“, ამ ორიოდე კვირის წინათ შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ვერავინ გადაჯარბებდა მიხეილ ტალის დიდ მიღწევას რიგაში. ახლა ეს შთაბეჭდილება გაფანტულია.

ნანა იოსელიანს რიო-დე-ჟანეიროში ყველაფერი გამოსდიოდა: შესანიშნავად ჩატარებული ეერი შეიბიც (კოზლოვსკაისა და ხუნდთან), მანვერული თამაშიც, ენდშპიელიც. ეს კი იმის დადასტურებაა, რომ ნანა ამ ბოლო ხანებში (ექსპერტებისათვის შეუმჩნევლად) მეტად გაიზარდა და დახელოვნდა. ახლა უკვე შეიძლება ლაპარაკი მასზე, როგორც პრეტენდენტთა მომავალი ასპარეზობის ერთობ საინტერესო მონაწილეზე, რომელსაც ყველამ უნდა გაუწიოს ანგარიში. აქვე უნდა გავიხსენოთ ის ამბავიც, რომ ნანა იოსელიანმა უკანასკნელ წლებში საერთაშორისო ოსტატ უბილავას შემწეობით ისე შეისწავლა სადებიუტო თეორია, რომ დასაწყისში დიდ სირთულეებს არ აწყდება, რაც თანამედროვე საჭადრაკო ტურნირებში მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ. დებიუტის ნაკლებად ცოდნას არაერთი დიდი მოჭადრაკე „დაუღუპავს“. 68 წლის სამეულ რეშევსკის ამასწინათ თქვა: „პენსიაზე გავედი, ბევრი დრო მაქვს და ერთი ძველი ნაკლი უნდა გამოვასწოროო — დებიუტების თეორია უნდა ვისწავლო“. ნანა იოსელიანს ასეთი განცხადების გაკეთება არასოდეს დასჭირდება.

ფორმალურად თუ ვიმსჯელებთ, ნანა იოსელიანმა ამ ტურნირში დიდოსტატის ერთი ბალი შეასრულა, საამისოდ მონაწილემ ქულათა საერთო რაოდენობის ორი მესამედი უნდა მოაგროვოს, მაგრამ საქმე ის არის, რომ მეორე ბალის მოგროვება ნანას აღარ დასჭირდება. დებიუტების თანახმად, ყველა, ვინც პრეტენდენტთა ასპარეზობაში მონაწილეობის უფლებას იღებს, ავტომატურად ხდება საერთაშორისო დიდოსტატი. დიდი და გასაოცარი მიღწევა!

ამრიგად, 17 წლის იოსელიანმა თავის ხანმოკლე, მაგრამ ჩინებული წარმატებებით სავსე სატურნირო პრაქტიკა შესანიშნავი პირველი პრიზით გაამდიდრა. ჩვენ უნდა გავიხსენოთ მისი ადრინდელი მიღწევებიც. ორჯერ ევროპის თასის მოპოვება გოგონათა შორის, 1977 წელს მეორეგზისმე ადგილების გაყოფა საკავშირო ჩემპიონატში, საპრიზო ადგილები საერთაშორისო ტურნირებში...

კიდევ ორი მოჭადრაკე დაბრუნდება რიო-დე-ჟანეიროდან ქმაყოფილი. უნგრელმა ჟუჟა ვერეცემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ამ ქვეყანაში საჭადრაკო სკოლა მეტად მომძლავრდა. მისი თანამემამულეები ახლა გუნდურ შეჯიბრებებშიც იმარჯვებენ და პირადშიც. ისე კი პირველი შემთხვევაა, როცა უნგრელი მოჭადრაკე ქალი ,მსოფლიო პირველობის ოფიციალური პრეტენდენტი ხდება.

ნანა ალექსანდრია, ყველა ექსპერტის აზრით, საპრიზო სამეულში უნდა მოხვედრილიყო. ასეც მოხდა. ქართველმა მოჭადრაკემ, რომელმაც შუა ტურნირში რამდენადმე წარუმატებლად ითამაშა, ფინიშზე მოიკრიბა ძალა, და როგორც მის დიდ ტალანტსა და მაღალ კლასს შეეფერება, დამსახურებულად დაიკავა ადგილი პრიზიორთა შორის.

ყველა შეჯიბრების შემდეგ მიმომხილველები დავობენ ხოლმე, თუ რამდენად ობიექტური იყო მისი შედეგები. ჩვენი აზრით, რიო-დე-ჟანეიროს ტურნირის შეიდგებმა მაინცდამაინც სადავო არაფერი დაგვიტოვა — საპრიზო სამეულში ყველაზე უფრო ღირსეულები აღმოჩნდნენ.

გ. გამრეკელი.

* * *

სურათებზე: მარცხნიდან — ნ. იოსელიანი და ნ. ალექსანდრია.

ფეხბურთის ქრონიკა

30-ე ტური

გაიმარჯვა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეათე ტური. ამ ეტაპის ბოლო ექვსი შეხვედრა ასე დამთავრდა: „ყაზახეთი“ — ცსკა 2:3, „ფახთაქორი“ — სპარტაკი“ 1:1, „შახტიორი“ — „კრილია სოვეტოვი“ 3:2, ასკ — „დინამო“ (მინსკი) 1:0, „არარატი“ — „ჩერნომორეცი“ 2:0, „ნეფთჩი“ — „ლოკომოტივი“ 2:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30-ე ტურის შემდეგ

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	18	9	3	56-21	44
„დინამო“ (კ.)	19	5	6	45-20	43
„შახტიორი“	17	8	5	49-27	42
„დინამო“ (თბ)	16	12	2	46-21	40
„დინამო“ (მ)	14	9	7	33-23	36
„დინამო“ (მნ)	12	6	11	36-28	30
ცსკა	11	8	11	39-37	30
„ზენიტი“	11	8	11	38-39	30
„ჩერნომორეცი“	9	9	12	27-31	26
„არარატი“	10	12	8	35-27	28
„ფახთაქორი“	10	9	10	33-39	28
ასკ	7	14	9	33-44	22
„ყაზახეთი“	7	8	15	25-38	22
„ნეფთჩი“	7	8	15	25-42	22
„ლოკომოტივი“	6	11	13	36-50	20
„ტორპედო“	6	9	15	23-38	20
„ზარია“	4	10	16	32-52	16
„კრ. სოვეტოვი“	6	3	21	20-54	15

ევროპაში უძლიერესნი

იტალიის ქალაქ ბრეშიაში დამთავრდა ევროპის გუნდური ჩემპიონატი ძიუდოში. სპორტსმენ ძიუდოისტებმა ი. ნამგალაურმა, შ. ხაბარელმა (ორივე — თბილისი), ნ. სოლოდუხინმა, ა. შეროდმა (ორივე — ,ურსკი), ა. ტიუნინმა (მოსკოვი), ა. იაკუბეინმა (რიგა) და ა. ემიუმა (მაკეკი) ტოლი არ დაუდეს მეტოქეებს და გუნდური გამარჯვება მოიპოვეს. სსრ კავშირის ნაკრებმა ფინალში დაამარცხა საფრანგეთის გუნდი — 4:1. მესამე ადგილი წილად ხვდათ იტალიელებს.

ლიდერობს „გურია“

მეორე რიგის მეოთხე ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ასპარეზობის მონაწილე საქართველოს კოლექტივებმა 46-ე ტურის მატჩები ასე დაამთავრეს: „დინამო“ (ზუგდიდი) — „დინამო“ (კიროვი) 1:0, „დინამო“ (სოხუმი) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 1:0, „დინამო“ (ბათუმი) — „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) 1:0, „რუბინი“ (ყაზანი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 3:0, „ტორპედო“ (ტოლიატი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:4, „ტორპედო“ (ნაბერეჟნეი ჩელნი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:1, „ფილა“ (გორი) — „პროგრესი“ (კიროვაბადი) 2:1.

ასპარეზობის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე ამ ზონაში პირველი ლიგის ერთადერთი საგზურის მაძიებელთა სტატურნირო მდგომარეობა ასეთია: „გურია“— 62 ქულა, „ლოკომოტივი“ და სტეფანაწყაროს „ყარაბახი“ — 61-61 ქულა.

თამაშობს „ჰამბურგი“

ევროპის ჩემპიონატის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში თბილისის „დინამოს“ მეტოქემ „ჰამბურგმა“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პირველობის ყალენდარული მატჩი გამართა ბრემენში ადგილობრივ „ვერდერთან“. შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 1:1. „ჰამბურგს“ ახლა 12 ქულა აქვს და მეორე ადგილზეა. დორტმუნდის „ბორუსიას“ 3 ქულით მეტი აქვს.

მოკლედ

თბილისის საწყალსნო სპორტული კომპლექსის აუზში დამთავრდა სსრ კავშირის თასის პირველი გათამაშება სინქრონულ ცურვაში. თასი მოიპოვა მოსკოვის „სტრუდამ“ — 917,27 ქულა.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

რა მოვისმინოთ

საქართველოს რადიოს ფაქტიური ცემეები - 23 დან 28 ოქტომბრამდე

□ 23 ოქტომბერი

პირველი პროგრამით: 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — „ეკრანის მელოდიები“, 09.45 — ვ. დოლიძე. ოპერა „ქეთო და კოტე“. ნაწყვეტები, 11.20 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 11.45 — რადიონარკვევი „გამომგზავნელები“, 12.00 — საწარმოო ტანვარჯიში, 12.15 — ბ. დელ-მონაკოს კონცერტი, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ი. ნონეშვილის ლექსები, 12.30 — მიკროფონთან არის ანსამბლი „75“, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — ვ. სარასატე. „ბოუური ჰანგები“, 13.40 — უკრავს ინსტრუმენტული ანსამბლი ა. ცადოევსკის ხელმძღვანელობით, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. ა. ბელიაშვილი — „ვეფხვია ხალიბაური“ (გაგრძელება), 14.30 — „კორნელი კეკელიძის დაბადების 100 წლისთავი. საიუბილეო საღამოს რეპორტაჟი (ჩანაწერი), 15.00 — „ფეხნიერება და ტექნიკა“. რადიოჟურნალი, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ვ. აზარაშვილი. სონატა ორი ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის, 17.35 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 18.10 — „მელოდია, რიგმი, გაწყობილება“ კონცერტი, 19.00 — საუბარი „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია — მთავარი მიმართულება“, 19.15 — ქართული ხალხური მუსიკა, 19.40 — „საერთაშორისო ცხოვრების აქტუალური პრობლემები“ (მ.), 20.30 — „ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — რადიოსადგური „სიმპაზუკე“, 22.00 — „ჩვენი ახალი ჩანაწერები“ — გ. ყანჩელი. მესამე სიმფონია, 23.30 — „სავსტრადო რიტმები“.

□ 24 ოქტომბერი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.31 — „დილის კონცერტი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — მსოფლიოს ხალხთა მუსიკა, 09.45 — ო. თევდორაძე. რადსოდია ხალხურ თემებზე, 11.20 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 11.45 — „საანგარიშოსაარჩევნო კრებები პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში“, 12.15 — ფლრის ჟ. ბეკო, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — რ. მარგანის ლექსები, 12.30 — პოპულაური საორკესტრო პიესები, 13.40 — „რუსული ხალხური სიმღერები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. ა. ბელიაშვილი — „ვეფხვია ხალიბაური“ (გაგრძელება), 14.20 — ა. ბოროდინი. პირველი სიმფონია კვარტეტი. 15.00 — საკავშირო რადიოს ფონდიდან. ვ. აქსიონოვი კითხულობს მ. ლერმონტოვის ლექსებს (მ.), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ლ. ბეთჰოვენი. ოპერა „ფიდელიო“ (ნაწყვეტები), 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.10 — „მელოდია, რიგმი, გაწყობილება“ — კონცერტი, 19.00 — „მოსკოვის ოლიმპიურ მშენებლობაზე“. ინტერვიუ, 19.15 — ნ. გუდიაშვილი. კამერული ნაწარმოებები, 19.40 — **მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი** (მ.), 20.30 — რადიოფურნალი „თბილისი-ბაქოერევანი“ (ბაქოდან), 21.00 — „ძილისპირული“, 21.45 — ახალგაზრდობისათვის. რადიონარკვევი „ვარსკვლავები ჩამოდან მიწაზე“, 21.30 — „ქართული ხალხური სიმღერები, 22.00 — გ. ნატროშვილი. „ისევ გაზაფხული იყო იორზე“. რადიოდადგმა, 23.00 — ფეხბურთი ევროპის ჩემპიონთა თასზე. „ჰამბურგი“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) — „დინამო“ (თბილისი). რეპორტაჟი ჰამბურგიდან.

□ 25 ოქტომბერი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — მსოფლიოს ხალხთა მუსიკა, 09.45 — ო. თევდორაძე. ქართველი პოეტების ლექსები, 12.15 — მღერის ა. პუგაჩოვა, 12.25 — „სცენის ოსტატები“, 12.35 — ნ. ციხესაძე. საკვარტეტო პიესები, 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — ი. ბობოხიძე. სიმღერები, 13.40 — ა. ადანი. ბალეტი „ჟიზელი“. ნაწყვეტები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. ა. ბელიაშვილი — „ვეფხვია ხალიბაური“ (გაგრძელება), 14.20 — ს. პროკოფიევი. მეშვიდე სიმფონია, 15.00 — „რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად“ (მ.), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.35 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ჯური“. პრემიერა, 18.00 — „თბილისის ახალი ამბები“, 18.10 — „მელოდია, რიგმი, გაწყობილება“, კონცერტი, 19.00 — **მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი.** საუბარი „ხუთწლიანი გეგმა ეკონომიკის მართვის საფუძველია“ (გადაცემა პირველი), 19.20 — მ. გლინკა. საცეკვაოები ოპერიდან „რუსლანი და ლუდმილა“, 19.40 — ვ. სოლოვიოვ-სედოი. სიმღერები, 20.30 — „სახელოვანი 80 წელი“. რადიონარკვევი „სერგო ქავთარაძე“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — ნ. ბაგანინი. პირველი სავიოლინო კონცერტი, 22.00 — საუბარი „კ. ხეთაგუროვი და ქართველი საზოგადოებრიობა“, 22.20 — ვალსები, 23.30 — მღერის ანსამბლი „რუსთავი“.

□ 26 ოქტომბერი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.31 — „დილის კონცერტი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — „მელოდიიდან მელოდიამდე“, 11.20 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 11.45 — საუბარი „ადრები წყვეტენ ყველაფერს“, 12.15 — ი. ბახი. ბრანდენბურგის კონცერტი, 12.30 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.35 — კონცერტი, 13.50 — მოსწავლეთათვის გაზეთ „ხორრი ლენინელის“ ფურცლებზე, 14.00 — მუსიკალური რადიოკომპოზიცია „ვანო სარაჯიშვილი“, 15.00 — „მეგობართა ხმები“. გადმოცემა სოციალისტური ქვეყნებიდან (მ.), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება“ — უკრავს ს. სუქილოვსკი, 17.40 — მოსწავლეთათვის. ლ. ასათიანის საყმაწვილო ლექსები, 18.00 — „ნაზუადღეს“ — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა, 19.00 — „არაცნობიერი: კვლევის შედეგები და პერსპექტივები“. 19.15 — ჟ. რამო. საკლავესინო პიესები, 19.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — „ახალი ლიტერატურული ჩანაწერები“, 20.45 — მღერის თ. გურგენიძე, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — „საერთაშორისო მდგომარეობა: კითხვა-პასუხი“ (მ.), 22.00 — საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ვოკალური ოქტეტის კონცერტი, 23.30 — „ეკრანის მელოდიები“.

□ 27 ოქტომბერი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 08.37 — ხალხური მუსიკის კონცერტი, 09.45 — რ. ლაღიძე. კამერული ნაწარმოებები, 11.20 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 11.40 — „მშობლიური ბუნება“. რადიოოჟურნალი (მ.), 12.00 — „პოეტი მიკროფონთან“ — ნ. ყიფლანონია, 12.15 — ვ. ბუჭუა. „ჩემი მუსიკალური შთაბეჭდილებანი“ (გადაცემა მესამე), 13.40 — სიმღერები საქართველოზე, 14.00 — ვ. დარასელი. „კიკვიძე“. რადიოდადგმა, 15.30 — შ. მშველიძე, მეხუთე სიმფონია, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.50 — კამერულ-ინსტრუმენტული პიესები, 17.00 — „უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. „პავლე კორრაგინი“. რადიოდადგმა (მეორე ნაწილი), 18.10 — რადიოსადგური „იუნოსტის“ პროგრამა (მ.), 19.15 — კონცერტი საავტომობილო გრანსპორტის მუშაკთა თხოვნით, 19.45 — „ამბისა და მეგობრობის ქალაქი...“. ქართველი პოეტების ლექსები, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მ.), 20.30 — „თეატრი მიკროფონთან“. რუსთავის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“, 22.17 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 23.30 — კონცერტი „მრავალჟამიერ“.

□ 28 ოქტომბერი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 07.40 — „მიწა და ადამიანები“ (მ.), 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 08.37 — „შენ გიმღერი, ჩემო თბილის ქალაქო“. კონცერტი, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“. საკვირაო გამოშვება, 11.10 — „პიონერთა დაფიონი“ (მ.), 11.45 — „შემოდგომის სიმღერა“. კონცერტი, 12.00 — „ქვეყნებში და კონფერენტებზე“ (მ.), 12.15 — საუბარი „საავტომობილო გრანსპორტი: პრობლემები, ამოცანები“, 12.30 — „მუსიკალური მოზაიკა“, 13.30 — რადიოკომპოზიცია „მისი ნათელი სახელი“, 14.05 — კონცერტი „ახალგაზრდული სიმღერები“, 14.30 — „ფიზკულტურა და სპორტი“. რადიოჟურნალი, 15.00 — „შეგობრობის კონცერტი“ (ერეენიდან), 15.30 — „გაუბუნარ ფერთა ექო“ — თ. ჭავჭავაძე, 16.30 — რადიოფილმი „ეორწილი“, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. „პავლე კორრაგინი“. რადიოდადგმა (მეორე ნაწილი), 18.10 — რადიოსადგური „იუნოსტის“ პროგრამა (მ.), 19.15 — კონცერტი საავტომობილო გრანსპორტის მუშაკთა თხოვნით, 19.45 — „ამბისა და მეგობრობის ქალაქი...“. ქართველი პოეტების ლექსები, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მ.), 20.30 — „თეატრი მიკროფონთან“. რუსთავის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“, 22.17 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 23.30 — კონცერტი „მრავალჟამიერ“.

ტელევიზია

23 ოქტომბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 17.00 — აბიტურიენტებთათვის — ქართული ენა (ფ.), 17.30 — განცხადებები. (ფ.), 17.35 — შევიისწავლოთ ინგლისური ენა, 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.25 — „ჩვენი სტუმრები“ (ფ.), 18.45 — „კინო და ბავშვები“ (ფ.), 19.45 — „ოთამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.20 — „ქართული ფილმი“ — საიუბილეო კინოჩვენება. მხატვრული ფილმი „ლიმილის ბიჭები“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — ჩემი კომკავშირი, 23.35 — „სპორტული კალეიდოსკოპი“ (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — სტუდენტებისათვის — თეორიული მექანიკა (ფ.), 16.45 — მოკლემეგრაქიანი მხატვრული ფილმები: „შევხვდეთ“, „უკანასკნელი ნადირობა“, 17.40 — რუსული სკოლების მოსწავლეთათვის — რუსული ენა (ფ.), 18.10 — მოკლემეგრაქიანი მხატვრული ფილმი „ორი კომედია“, 18.55 — „ეს ესტრადაა“ (ფ.).

თეატრი

23 ოქტომბერი

პირველი პროგრამით: 16.00 — სტუდენტებისათვის — „ეს ვილოდ“ (ნარ ოვანესიანის გასტროლები); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური „საბრალდებო დასკვნა“; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — „პაემანი ცაში“; საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია — **ჩეხოსლოვაკიის ცეკვის ანსამბლი „ლუჩნიცა“;** კონსერვატორიის მცირე დარბაზი — **საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმი.** კამერული მუსიკის **კონცერტი.**

პოლონეთის მოდა და მუსიკა

1979 წლის 25, 26, 27 და 28 ოქტომბერს

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში (ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი, 17).

ეწყობა პოლონეთის ტრიკოტაჟის ნაწარმისა და ფეხსაცმლის მოდელების ჩვენება საესტრადო ანსამბლისა და სოლისტების მონაწილეობით.

სეანსები — 16.30 და 19 საათზე.

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროებში.

ტრიკოტაჟის ნაწარმისა და ფეხსაცმლის მოდელების ჩვენება მოაწყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო-სავაჭრო გაერთიანება „ტექსტილიმპექსმა“ საბჭოთა კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელშეწყობით.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:

380096 თბილისი-96, ლენინის 14.



რ ე დ ა ქ ც ი ა:

რედაქტორის მოადგილეები — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, **სამდივნოსი** — 99-66-10, **განყოფილებები:** ს: **პარტიული ცხოვრების** — 99-87-61, **მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის** — 93-22-93, **მრეწველობისა და ტრანსპორტის** — 93-20-34, **სოფლის მეურნეობის** — 99-52-46, **საბჭოთა მშენებლობის** — 93-18-70, **მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების** — 93-27-58, **ლიტერატურისა და ხელოვნების** — 99-55-01, **კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის** — 93-95-98, **აღგილობრივი ინფორმაციის** — 93-16-90, **უცხოეთის ინფორმაციის** — 99-60-21, **მეზრაველთა წერილების** — 99-73-24, **ილუსტრაციის** — 93-28-54, **საზოგადოებრივი მისალები** — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 231-08-52; **სოხუმი** — 2-40-19; **ბათუმი** — 3-41-69; **ცხინვალი** — 2-22-52; **ქუთაისი** — 5-26-36; **გორი** — 2-33-10; **ახალციხე** — 2-03-15; **ზუგდიდი** — 28-40; **ცხაკაია** — 2-23-44; **მახარაძე** — 6-34-44; **ზესტაფონი** — 39-55; **თელავი** — 12-09; **წითელწყაროო** — 23-86; **ტყიბული** — 25-82.



საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66134 უი 02396

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

დიდი ცხოვრების ფურცლები

რეპორტაჟი საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმიდან

ინფორმაცია—79

დრო, ამბები, მოვლენები

იდუმალებით მოცული მთები გაყურსულან... აქვეა ბახტრიონის დიდებული ძეგლი, აგერ ალავერდის თეთრი ტაძარი, ცხოველარა, პანკისის თვალწარმტაცი ხეობა, დუისის ხალხურ-მხატვრული რეწვის საწარმოო უბანი — სოლანი, ბაწარა-ბაბანეურის ნაკრძალი, მდინარე ილტოს ხეობა, ჩაბინაანის მეფრინველეობის ფაბრიკა, მწვანეში ჩაფლული მშვენიერი სოფლები და, რაც მთავარია, მუხნარ-წიფლნარით დაფარული ტყეები, რომლებსაც დიდი სიკეთე მოაქვს ახმეტელი მშრომელებისათვის.

ქალაქ ახმეტას ამშვენებს კულტურის ისეთი ძეგლები, ისტორიული ადგილები და ტყეთა კორომები, რომლებიც დიდებულად ერწყმიან აქაურ ლანდშაფტს. მახლობელი მთების რიტმს, გაშლილ მთა-ხეობებს.

ვისაც ახმეტა უნახავს, არ შეიძლება არ მოიხიბლოს მისი ახალი იერსახით. აქ მთიდან ჩამოსახლებული ფშავლები, ხევსურები, მთიულები, თუშები, ქისტები ცხოვრობენ, რომელთა სტუმართმოყვარეობამ, ვაჟკაცობამ და საქმიანობამ შორს გაუთქვა სახელი რაიონს.

აუფდა, დამშვენდა

მოკლე დროში დუისის სასოფლო საბჭომ ახალი შენობა აუგო დაწყებითს სკოლას სოფელ კოჭახტაში, მანამდე კი, წლების მანძილზე, მეცადინეობა დაქირავებულ ბინაში მიმდინარეობდა.

ასევითვე დაწყებითი სკოლა თავისი ბიბლიოთეკითურთ შარშან ქისტებს აუშენეს შუა ხალოწანში. პირველი სექტემბერი სოფელ ოყოლის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა ახალ შენობაში იზეიმეს, რომელიც საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა ინიციატივით და ხარჯვით აშენდა. მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლი აეშენეს კასრისწყალში — შირაქში, სადაც ახმეტის რაიონში შემავალი სასოფლო საბჭოა. აქვე არის რვაწლიანი სკოლა მწყემსთა შვილებისათვის.

ახმეტაში მთავრდება 600-ადგილიანი კულტურის სახლის შენებლობა, რომელიც 7 ნოემბრისათვის საზეიმოდ უნდა გადასცენ საექსპლოატაციოდ. რეკონსტრუქტირებულია საქალაქო კინო-თეატრის შენობა, შენდება ახმეტის მეორე საშუალო სკოლა, რომელიც 780 ბავშვისათვის არის გათვალისწინებული. სულ მალე რაიონმასშტაბის შენობა ახალ კორპუსში გადავა.

დუისში წინათ არც ამბანო იყო და არც სამრეცხაო. ახლა ეს პრობლემა უკვე აღარ დგას. თუმეთის სოფელ ობალოში მოსამზადებელი საშუაოები დაიწყო საამელი წყლის გამოსაყვანად. წყალი აქ ბომბერის ხეობის სოფელ ბოკორნიდან უნდა აიყვანონ.

ახმეტა

თუშეთის ბიბლიოთეკას უკვე ბევრი ახალი წიგნები, თაროები და სხვადასხვაგვარი მოწყობილობა გაეგზავნა.

ლაღად შრიალებენ

რაიაღმასკომის გადა